ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 18 ივლისი, 2017 №168 (7403) ფასი: 50 თეთრი

19 წლის ანა ხელაძის მკვლელობას მის 21 წლის ბიძაშვილს აბრალებენ?

გვ.7

13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„ოცნება“ გასაქცევად ემზადება“

გვ.3

ბეჟან ნათელაშვილი: „სახელისუფლებო კლანებს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია“

მოსთხოვენ თუ არა პოროშენკოს სააკაშვილის გადმოცემას

გვ.2

გვ.3

სააკაშვილი პრეზიდენტობას არ აპირებს

გვ.2

რევაზ არველაძე: „გაზის ტარიფი 5-10 თეთრით მოიმატებს“

გვ.6

გაზის ტრანსპორტირების ტარიფი გაიზარდა

გვ.4

ანზორ აბრალავა: „ოპოზიცია ხალხს ვერ გამოიყვანს“

„რუსეთს მაღალჩინოსნები და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირები უნდა დაელაპარაკონ“

გვ.4

გია ჟორჟოლიანი: „საკონსტიტუციო პროცესი ხელახლა არ დაიწყება“

„თვითმმართველობასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია რომ არ გავიდა, ამის გამო ისტერიკაში არ ჩავვარდნილვარ“

მამუკა ტუსკაძე გიორგი ბაჯელიძეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

გვ.5

ISSN 1987-9385

რევაზ არველაძე: „გაზის ტარიფი 5–10 თეთრით მოიმატებს“

ნონა ცაბაძე.

გაუძვირდება თუ არა თბილისის მოსახლეობას გაზის ტარიფი? ამის შესახებ „ახალი თაობას“ ამ თემაზე უმრავლესობის წევრი, ენერგეტიკოსი **რევაზ არველაძე** ესაუბრება.

– ბატონო რევაზ, 18 ივლისს, სემეკი ბუნებრივი აირის ტარიფს დაადგენს. არის მოლოდინი, რომ ტარიფი მოიმატებს. რისი თქმა შეგიძლიათ ამ საკითხზე და რა მოლოდინი გაქვთ თქვენ? რამდენად მძიმედ დააწვება ჩვენს მოსახლეობას ზაფხულში გაძვირებული გაზის ტარიფი ზამთარში?

– ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენით გაიზრდება ტარიფი. თუ ტარიფი გაიზრდება 5-10 თეთრის ფარგლებში, წესით, ეს კატასტროფული არ უნდა იყოს ჩვენი მოსახლეობისთვის. ხოლო თუ უფრო მეტად გაიზრდება, ეს ყველას მძიმე ტვირთად დააწვება.

– ანუ არის მოლოდინი, რომ 5-10 თეთრზე მეტით გაიზარდოს?

– პირადად მეც ძალიან მაწუხებს ეს ამბავი, ისევე, როგორც ჩვენს მოსახლეობას. ჩვენც მოლოდინის რეჟიმში ვართ, თუ რა ტარიფს დაადგენს სემეკი. მე ვფიქრობ, რომ 5-დან 10 თეთრამდე, აი ამ ფარგლებში უნდა გაიზარდოს.

– გაძვირებული გაზის ტარიფი რამდენად აისახება პირველადი მოხმარების პროდუქტებზე? საუბარია, რომ ფასები აქაც მოიმატებს.

– რა თქმა უნდა, ეს აისახება იმ პროდუქციის ღირებულებაში, სადაც გაზის წილი მაღალია. არის ისეთი წარმოებაც, რომელშიც გაზი თითქმის არ მოიხმარება. იმის მიხედვით, თუ რამდენია გაზის წილი, მეტ-ნაკლებად აისახება სამომხმარებლო ფასებში სხვადასხვა საქონლის, ეს თავისთავად ცხადია.

– გვესმის შეფასებები, რომ ლარი დასტაბილურდა და რატომ გახდა ტარიფის ზრდა ასე აუცილებელი.

– ლარი დასტაბილურდა 2,40-ის დონეზე და ეს ტარიფი ნაანგარიშევი იყო, როდესაც 1,70 იყო ლარი დოლართან. ლარი რომ ჩამოსულიყო 1,90-ის ფარგლებში მაინც, ტარიფის მატებაზე საუბარი არ იქნებოდა. ტარიფში გარკვეული რეზერვებიც არის. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება აზერბაიჯანულ მხარესთან, რომ მოწოდებული გაზის ღირებულება ცოტა დაბლა დაწიონ. წესით, ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს მარეგულირებელმა კომისიამ და ტარიფი იმის მიხედვით უნდა განსაზღვროს.

– ბატონო რევაზ, წინასაარჩევნოდ ბუნებრივ აირზე ტარიფის მატება „ოცნებისთვის“ ძალიან არაპოპულარული გადაწყვეტილება იქნებაო. რამდენად იმუშავებს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ეს პროცესი?

– ამ პროცესისთვის მოსახლეობა უკვე საკმაოდ მომზადებულია. უკვე კარგა ხანია არის იმის მოლოდინი, რომ გაზის ტარიფი გაიზრდება. ასევე საუბარია ელექტროენერგიის ტარიფის მატებაზეც, გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგიის ნაწილს იმპორტით ვღებულობთ და, ცხადია, იმპორტში დოლარს ვიხდით. ასე რომ, მატება თუ ნორმალურ ფარგლებში იქნება, არ მგონია, ამან გააღიზიანოს ამომრჩეველი.

– ახალი ხელშეკრულების შედეგად ასევე აღარ მოგვეწოდება რუსული გაზი, რომელსაც რუსეთი ტრანზიტის სანაცვლოდ აძლევდა ქართულ მხარეს. ახლა გაციცლებით მეტი ბუნებრივი აირის შეძენაა საჭირო. ეს ახალი ხელშეკრულება რამდენად აზარალებს მოსახლეობას?

– ამ ეტაპზე რუსული გაზის საჭიროება არ არის. თუ გახდა რუსული გაზის საჭიროება, მაშინ გამოჩნდება, დავზარალდებით თუ არა. ხელშეკრულებაში ხელმოწერილია ისე, რომ 185 დოლარად მისცემს ქართულ მხარეს. თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი კონიუნქტურა იქნება მსოფლიოში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფასზე ვაჭრობა შესაძლებელი იქნება და ტარიფი უფრო დაბლა წამოვა, ვიდრე 185 დოლარია. ამჟამად აზერბაიჯანული გაზის ტარიფი ასეთია – კომერციული 250-დან 300 დოლარამდე, ხოლო სოციალური გაზი 120 დოლარია და ეს ძალიან მისაღები ფასია.

– სოციალური გაზის ტარიფმა რომ დაიწიოს, ამის შესაძლებლობა არსებობს?

– ამ მიმართულებით აზერბაიჯანულ მხარესთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, წავიდა თუ არა რაიმე შეღავათზე, ამას სემეკის გადაწყვეტილებით გავიგებთ, გაზრდის ტარიფს თუ იგივეს დატოვებს.

– ყოფილი ენერგეტიკის მინისტრი, კახი კალაძე, დღეს თბილისის მერობის კანდიდატია. ყველა ამ მოლაპარაკებას ის მართავდა მხარეებთან. თუკი ტარიფმა მოიმატა, ეს გადაწყვეტილება რამდენად დააზიანებს მის იმიჯს თბილისელების თვალში? არჩევნების წინ ხომ არ გაუნაწყენდება მას თბილისის მოსახლეობა?

– თბილისის მოსახლეობა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობა, ძალიან კარგად არის ამ პროცესის შესახებ ინფორმირებული. აქედან გამომდინარე, არა მგონია, კახი კალაძეს გაუნაწყენდეს. კახი კალაძის და ენერგეტიკის სამინისტროს ბრალი სრულებითაც არ არის, რომ ლარის კურსი ასე შეიცვალა. რა უნდა ექნა კახი კალაძეს?! ასევე აქ არის გათვალისწინებული ინვესტიციების შემადგენელი კოეფიციენტი, რომელიც განხორციელდა საკმაოდ დიდი რაოდენობით, განსაკუთრებით რეგიონში, ბევრი სოფელი იქნა გაზიფიცირებული. ეს ყველაფერიც ტარიფში უნდა გადავიდეს. ასე რომ, კახი კალაძე რა შუაშია? არ მგონია, მას ვინმე გაუნაწყენდეს.

– თუკი გაიზარდა ტარიფი 5-დან 10 თეთრამდე, ხომ არ დადგება საკითხი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ამ მომატებული თანხის სუბსიდირება? ამაზე მიდის მსჯელობა?

– რა თქმა უნდა, მთავრობაში ამ მიმართულებით მიდის საუბარი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება მას შემდეგ, რაც გამოცხადდება ტარიფები. ჯერ მთავრობისთვის უცნობია, რა იქნება ტარიფი და ვის რა დახმარება დასჭირდება. დახმარება კი უნდა გაეწიოს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც მართლა გაჭირვებულია და ვინც მართლა საჭიროებს ასეთ დახმარებას.

ნინო გოგუაძე: „ქართული ოცნების“ გარდა, მთელი პოლიტიკური სპექტრი ვთხოვთ პრეზიდენტს, ორ კანონს ვეტო დაადოს

– „ქართული ოცნების“ გარდა, მთელი პოლიტიკური სპექტრი ვთხოვთ პრეზიდენტს, რომ როგორც თვითმმართველობის შესახებ კანონში, ასევე საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს ვეტო დაადოს, – ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ნინო გოგუაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ორივე ეს კანონი ემსახურება არა ქვეყნის დემოკრატიულ და სამართლებრივ განვითარებას, არამედ „ქართული ოცნების“ მიზანს, საარჩევნო ადმინისტრაციის სრული უზურპაცია მოახდინოს.

– ჩვენ ვიმსჯელეთ, მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა და დაპირისპირებულობის მიუხედავად, „ქართული ოცნების“ გარდა, მთელი პოლიტიკური სპექტრი შევთანხმდით, ვთხოვთ პრეზიდენტს, რომ ორივე კანონს, როგორც თვითმმრთველობის შესახებ კანონში ცვლილებებს, ასევე საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს დაადოს ვეტო, რადგან ორივე ეს კანონი ემსახურება არა ქვეყნის დემოკრატიულ და სამართლებრივ განვითარებას, არამედ მმართველი პოლიტიკური ძალის, „ქართული ოცნების“ მიზნებს, რომ სრული უზურპაცია მოახდინოს საარჩევნო ადმინისტრაციის. ასე რომ, პრეზიდენტს ვთხოვეთ, რომ ორივე ამ კანონს დაადოს ვეტო, – განაცხადა ნინო გოგუაძემ.

ფიქრია ჩიხრაძე: „ვეტო არ არის თამაშის თემა“

– პრეზიდენტს მთელი პროცესის განმავლობაში კრიტიკული განწყობა ჰქონდა, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხზე დაგეგმილი ცვლილებების, ისე საარჩევნო კოდექსის კუთხით, – ამის შესახებ პრეზიდენტის მრჩეველმა, ფიქრია ჩიხრაძემ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ჩიხრაძის თქმით, მან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოისმინა პრაქტიკულად ყველა პარტიის მოსაზრება, ასევე არასამთავრობო სექტორის არგუმენტები ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩიხრაძის თქმით, საუბარი იმაზე, თუ რა მოსწონს და არ მოსწონს პრეზიდენტს, არ ხდება.

– უახლოეს დღეებში ჩამოვყალიბდებით და პრეზიდენტი საზოგადოებას თავის გადაწყვეტილებას გააცნობს. ახალი არ არის თქვენთვის, რომ მთელ ამ პროცესში პრეზიდენტს ჰქონდა კრიტიკული განწყობა ამ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც თვითმმართველობის კუთხით, ისე საარჩევნო კოდექსის მიმართულებით. თავად გადაწყვიტეთ, რა მოლოდინი უნდა შეიქმნათ, იქნება ვეტო თუ არა, ეს არ არის თამაშის თემა.

ჩვენ პარტიებს ვეკითხებოდით დეტალურად, არის თუ არა რაიმე პოზიტიური მთელ ამ პროცესში, დაგვისახელეს გარკვეული მუხლები, თუმცა, ძალიან ბევრი იყო ნეგატიური არგუმენტი. ვიმსჯელებთ მათი მონათხრობიდან და შეჯერებულ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი წარმოადგენს, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე: გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა ვეტო პარლამენტმა დაძლია, არის თუ არა აზრს მოკლებული ვეტოს დადება, ჩიხრაძემ აღნიშნა, რომ „პრეზიდენტის ვეტოს სამართლებრივის გარდა, პოლიტიკური დატვირთვა აქვს“.

– ოპოზიცია ვერ ცვლის და ვერ იღებს კანონებს. მაშინ რატომ არსებობს ოპოზიცია? პრეზიდენტს ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ხელისუფლებას, აქვს თავისი პოლიტიკური პოზიცია და მოსაზრებები. პრეზიდენტს აქვს ინსტრუმენტი, რასაც ჰქვია ვეტო და ის, რომ არაფრის მომცემი და გამოუსადეგარი იყოს, კონსტიტუციაში არ იქნებოდა აღნიშნული, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

სააკაშვილი პრეზიდენტობას არ აპირებს

ოდესის ყოფილი გუბერნატორი და საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინის პრეზიდენტობას არ აპირებს – ამის შესახებ სააკაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს. ამ განცხადებით, მან უკრაინული გამოცემა „ეკონომისტის“ სტატიაზე გააკეთა კომენტარი.

– ეკონომისტმა ინტერნეტ გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შეკითხვა ასე იყო ფორმირებული – მისცემდით თუ არა ხმას მიხეილ სააკაშვილს უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე? გამოკითხვაში დაახლოებით სამი ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. 50 %-მა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა.

– რა ვქნა, არ ვუყვარვარ ამ რედაქციას. მადლობა იმისთვის მაინც, რომ შედეგები არ გააყალბეს (სხვათა შორის, პრეზიდენტობას არ ვაპირებ, ასე რომ, ეს შეკითხვა, წმინდა თეორიულია), – წერს მიხეილ სააკაშვილი.

ვაშაძე პოროშენკოს დელეგაციაშია

იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე და „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს დელეგაციაშია.

პოროშენკო ვიზიტით დღეს საქართველოში ჩამოდის, როგორც ვაშაძე „პირველ რადიოსთან“ ადასტურებს, ის დელეგაციაში უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის სტატუსით იქნება წარმოდგენილი და ოფიციალურ შეხვედრებში მიიღებს მონაწილეობას.

– უკვე ვიცი, რომ ბიზნესს ფორუმს დავესწრები. სხვა რომელ შეხვედრებში მივიღებ მონაწილეობას, დღეს ჩამოვფრინდება და ამის შემდეგ მეცოდინება, – განუცხადა გიორგი ვაშაძემ „პირველ რადიოს“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ გასაქცევად ემზადება“

ბეჟან ნათელაშვილი: „სახელისუფლებო კლანებს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია“

შორენა მარსაგიშვილი

რა სახელი შეეფერება „ქართულ ოცნებას“, ვისი მიზეზით დაიწყო სახელისუფლებო კლანებს შორის დაპირისპირება, რატომ არის გარდაუვალი ქუჩის აქციები, რა უთხრეს აშშ-ის სენატსა და კონგრესში შალვა ნათელაშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის გენერალური საბჭოს წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

ბეჟან ნათელაშვილი:

– დღეს ქვეყანას რომ პატრონი არ ჰყავს, ამაზე მგონი აღარავინ დავობს. არც იმაზე მიდის დავა და კამათი, რომ „ქართულ ოცნებაში“ კლანებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა დაწყებული. კარგი იქნებოდა თუ ეს პარტია სახელს გადაირქმევდა და „ქართულ მაფიას“ უწოდებდა საკუთარ თავს. აქ კლანები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაჯახებული და არავინ იცის, ვისი გამარჯვებით დასრულდება ეს ბრძოლა.

იმის გათვალისწინებით, რომ „ქართულ მაფიაში“ შემავალი დაჯგუფებები ერთმანეთზე უარეს ძალას წარმოადგენენ, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი გაიმარჯვებს, ასე რომ, დაუჭამიათ ერთმანეთი. მე ის მაწუხებს, რომ მათ დაპირისპირებას ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოსახლეობა ეწირება.

რუსები ჩვენი ტერიტორიიდან ჩვენივე მოქალაქეებს ყოველდღე იტაცებენ, სემეკმა დრო იხელთა და პაპანაქება სიცხეში გაზის საფასური გააძვირა, რასაც ყველაფრის გაძვირება მოჰყვება.

– კლანებს შორის დაპირისპირება ახსენეთ და ამაზე ბევრი ექსპერტი საუბრობს. ყველას თავისი ვერსია აქვს. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია კლანებს შორის დაპირისპირება?

– გითხარით, რომ ამ პარტიის ნამდვილი დასახელება „ქართული მაფიაა“. მაფია, როგორც წესი, ოჯახებისა და კლანებისგან შედგება. „ქართულ მაფიაშიც“ რამდენიმე კლანია. ყველას თავისი ინტერესი აქვს და მათ შორის ყოველთვის იყო ბრძოლა გავლენებისთვის. ბოსის ხათრით და შიშით დაპირისპირებას აქამდე ღიად არ ამჟღავნებდნენ.

ახლა ბოსი სადღაც გაუჩინარდა და მაფიოზურ კლანებს შორის დაპირისპირებაც გამწვავდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში დაპირისპირებამ პიკს მიაღწია.

– დაპირისპირებამ პიკს მიაღწიაო და რომელ კლანს აქვს გამარჯვების შანსი?

– არაც ერთმა არ უნდა გაიმარჯვოს. ეს კლანების ნაკრები მთლიანად უნდა ამოიძირკვოს ქართული პოლიტიკიდან. ესენი თუ არ მოვიშორეთ, ქვეყანა ვერ განვითარდება. ეს ის ჯგუფებია, რომლებიც ქვეყანას სისხლს სწოვენ და მომავალს უკარგავენ.

– პოლიტიკიდან მათი ამოძირკვა როგორ წარმოგიდგენიათ? დღევანდელ ხელისუფლებაში მრავლად არის ისეთი ხალხი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ყველა მთავრობას მოერგნენ. ზოგიერთი მათგანი კომუნისტების დროიდან მოყოლებული ზის სავარძელში.

– ასეთი ხალხისგან გათავისუფლება ძნელი იქნება. მათ ისეთი ძლიერი რეფლექსები აქვთ, რომ ყველას მოერგებიან. ამ ხალხისგან ქართული პოლიტიკის გაწმენდა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი. ეს მაშინ მოხდება, თუ ლეიბორისტული პარტია მოვა ხელისუფლებაში.

როგორც ერთ ცნობილ ფრაზაშია ნათქვამი – ერთხელ მაინც გვანდეთ ქვეყანა და ნახავთ, როგორ გავწმენდთ პოლიტიკას სარეველებისგან.

– ვინც ითხოვს, ქვეყანა გვანდეთო, ყველა კარგ რაღაცებს ჰპირდება ხალხს, მაგრამ არჩევის შემდეგ დაპირებები ყველას ავიწყდება. თქვენ რატომ უნდა იყოთ გამონაკლისი?

– იმიტომ, რომ ჩვენ ყველა არა ვართ. თან ხომ ხედავთ, ჩვენთან გაცვეთილი სახეები არ არიან. ეს კი პატარა ამბავი არ არის. სხვა პარტიებში ათას პარტიაგამოცვლილი ხალხია მობილიზებული.

არავის არ ვსაყვედურობ თავისი არჩევანი გამო, მაგრამ ვთხოვ, რომ ტომარა ფქვილზე ნუ გაიყიდებიან. ეს მათ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. მდგომარეობა ისედაც მძიმეა და მალე სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდება. ეს ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტ შანსს აძლევს, რომ გაჭირვებული მოსახლეობა მოისყიდოს.

გაინაღდებენ ძალაუფლებას და საკუთარი ჯიბეების და ჯიპების გარდა არაფერი აღარ აინტერესებთ. რუსმა ოკუპანტებმა ლამის ნახევარი საქართველო გაიტაცეს და ხომ ხედავთ, ხელისუფლება ხმასაც კი არ იღებს.

– ამ დუმილს რითი ხსნით?

– იმით, რომ ამ ხალხს არც ქვეყანა და არც ხალხი არ აინტერესებთ. ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას მთელი მსოფლიო უნდა ჰყავდეს შეძრული. უნდა მოითხოვონ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა. ისეთი ამბავი უნდა ატეხონ, რომ რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესონ. ყირიმის ოკუპაციის გამო თუ დაუწესეს სანქციები, ქართული მიწების ანექსიის გამოც იგივე უნდა მიიღოს.

ძველ სანქციებს თუ ახალიც დაემატებოდა, რუსეთს მოუწევდა დათმობაზე წასვლა.

– დარწმუნებული ხართ, რომ დათმობაზე წავიდოდა?

– არ წავიდოდა და ეკონომიკა დაემხობოდა თავზე. ეკონომიკის თავზე ჩამომხობა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის აჯანყებას ნიშნავს, რაც კრემლს არ აწყობს. საქართველოს ხელისუფლებას ბევრი კოზირი აქვს, მაგრამ არ იყენებს.

– რატომ არ იყენებს?

– იმიტომ, რომ რუსეთის თამაშს თამაშობენ.

– ხელისუფლებას ღიად აქვს გაცხადებული, რომ პროდასავლური კურსი გვაქვსო.

– ესეც თამაშია. ღიად პროდასავლურობას იბრალებენ, რეალურად კი იმას ასრულებენ, რაც რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას აწყობს. სხვანაირად მეოცნებეთა დუმილს ვერ ვხსნი.

რა თქმა უნდა, დავით ბაქრაძესავით არ ვითხოვთ, რომ რუსებს ჩანგლებით ვეომოთ, მაგრამ არც ბაბაია არ უნდა დავუძახოთ. ამ ბაბაია-ბაბაიას ძახილში უფრო თავხედდება და უფრო ღრმად შემოდის ჩვენს ტერიტორიაზე.

ამ დუმილს რუსეთი თავისებურად აღიქვამს – მას საქართველო თავის საკუთრება ჰგონია. 25 წელია ვერაფრით ვერ შეეგუა, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ.

– იქნებ იმიტომ ვერ ეგუება ჩვენს დამოუკიდებლობას, რომ საქართველოს ყოველი ხელისუფლება მათ დაკრულზე ცეკვავს. ან იქნება ხალხსაც მოსწონს რუსული ჩექმა.

– ჩვენში პრორუსულები არიან, მაგრამ ხალხის დიდ ნაწილს არ მოსწონს რუსული ჩექმა. ხელისუფლებს რაც შეეხება, ისინი რუსულ დაკვეთებს ასრულებენ. მოსკოვის მოთხოვნით არ იღებენ ხმას და არ ითხოვენ დასავლეთისგან რეაგირებას.

– დასავლეთმა ჩვენი მოთხოვნის გარეშე რომ დაგმოს რუსული აგრესია, არ შეიძლება?

– ჩვენ თუ ამაზე ხმას არ ამოვიღებთ, დასავლეთმა რატომ უნდა ატეხოს განგაში? ცხოვრებაშიც ასეა – თუ ვინმე გამლახავს, პირველ რიგში მე უნდა ამოვიღო ხმა. ამის შემდეგ მოვლენ მეგობრები დასახმარებლად. ასე ხდება ადამიანურ ურთიერთობებში და ასე ხდება სახელმწიფოებს შორისაც.

ახლა მსოფლიო რას უყურებს, საქართველოს ხელისუფლება დუმილით ხვდება, თუ როგორ შედის მის ტერიტორიაზე რუსეთი. ასეთ შემთხვევაში ხმას არავინ არ ამოიღებს.

– ხელისუფლება შეიძლება დუმს, მაგრამ საზოგადოება ხომ აპროტესტებს რუსულ ოკუპაციას?

– საზოგადოების პროტესტს მივესალმები, მაგრამ დასავლეთი რომ გვერდში დაგვიდგეს, ეს საკმარისი არაა. რაკი ხელისუფლება დუმს, ისინი ფიქრობენ, რომ საქართველოს რაღაც სხვა პოლიტიკა აქვს.

არაა გამორიცხული, რომ მართლაც სხვა პოლიტიკა ჰქონდეთ. „ქართული მაფია“ ისეთ რაღაცებს აკეთებს, მალე გაქცევა მოუწევთ.

ამიტომაც მოვუწოდებ პრეზიდენტს, დაითხოვოს ეს პარლამენტი და ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. ეს თავად ხელისუფლებამაც უნდა სთხოვოს მარგველაშვილს. ეს ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ მშვიდობიანად წავიდნენ. გეუბნებით, რომ „ოცნებას“ გასაქცევად აქვს საქმე.

ამას თავადაც ხვდებიან და ამიტომაც იღებენ ასეთ დრაკონულ საარჩევნო კოდექსს. ეს კოდექსი მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლას გამორიცხავს. „ოცნება“ ხალხს ქუჩის აქციებისკენ უბიძგებს. შესაძლოა, ესეც ვიღაცის დავალებაა.

– ვისი?

– ალბათ რუსეთის. საქართველოში არეულობა რუსეთს უნდა. იმედი მაქვს, დასავლეთი ამას არ დაუშვებს.

– დასავლეთი ახსენეთ და რა შედეგით დაბრუნდა თქვენი ლიდერი ამერიკიდან?

– ბატონი შალვა ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა. დეტალებს ის არ ახმოვანებს. ეს თავად ამერიკელებმა უნდა თქვან. ის იქ მათი მიწვევით წავიდა. მას კონგრესსა და სენატში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა.

მოსთხოვენ თუ არა პოროშენკოს სააკაშვილის გადმოცემას

შორენა მარსაგიშვილი

თბილისსა და კიევს შორის ურთიერთობები ისევ დათბობისკენ წავიდა. მას შემდეგ, რაც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ ქვეყანაში გადაბარგდა, საქართველოს და უკრაინის ხელისუფლებებს შორის დისტანცირება მოხდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ამ ორი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები ერთმანეთს აღარ სტუმრობდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკრაინის ხელისუფლების დიდი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის წევრებით იყო დაკომპლექტებული.

საქართველოს და უკრაინის ხელისუფლებებს შორის დათბობის პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც სააკაშვილს პეტრო პოროშენკოსთან ურთიერთობა გაუფუჭდა. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტი მას უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევითაც დაემუქრა.

მოქალაქეობის ჩამორთმევის გარდა, სააკაშვილს უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი წევრი საქართველოში ექსტრადირებითაც ემუქრება. რადას დეპუტატების ნაწილი ჯერ კიდევ გასულ წელს ამბობდა, რომ სააკაშვილის გამო საქართველოსთან სიტუაციის დაძაბვა არ ღირდა.

თბილისმა და კიევმა კიდევ ერთხელ დაათბეს ურთიერთობები. გუშინ, 17 ივლისს პეტრო პოროშენკო საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

უკრაინის პრეზიდენტი საქართველოში ოჯახთან, უკრაინის სახელმწიფო დელეგაციის წევრებთან და უკრაინელ ბიზნესმენებთან ერთად ესტუმრა. პეტრო პოროშენკოს სახელმწიფო ვიზიტი საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მოწვევით იმართება.

უკრაინელ სტუმრებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა (იმედია უკრაინულ ზღაპრებზე არაფერს ეტყოდა სტუმარს), პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი და პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე დახვდნენ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, პეტრო პოროშენკოს ოფიციალური დახვედრის ცერემონიალი დღეს, 18 ივლისს გაიმართება. ამის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი და მისი უკრაინელი კოლეგა ერთმანეთს გაფართოებულ ფორმატში პირისპირ შეხვდებიან.

ამის შემდეგ საქართველოს და უკრაინის პრეზიდენტები ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხებენ.

ოფიციალური ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტი გმირთა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს გვირგვინებით შეამკობს, მათ ხსოვნას პატივს მიაგებს და საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმს დაათვალიერებს.

ამის გარდა, პოროშენკო მარგველაშვილთან ერთად სოფელ ხურვალეთში საოკუპაციო ხაზსაც ეწვევა და სიტუაციას ადგილზე გაეცნობა.

სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში იგეგმება პეტრო პოროშენკოს შეხვედრები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან.

საზოგადოებაში არის მოლოდინი, რომ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებაზეც იქნება საუბარი. რასაც კატეგორიულად გამორიცხავს „ქართული ოცნება“. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი მოსაზრებას აბსურდულს უწოდებს და ამბობს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილზე საუბარი დღის წესრიგში არ დგას.

– უკრაინაში, ისევე, როგორც საქართველოში, ნებისმიერ შემთხვევაში არ იხილავენ საკითხს მათი მოქალაქის გადაცემისა სხვა ქვეყნისადმი, თუნდაც ბევრი შეკითხვა ჰქონდეს საგამოძიებო სტრუქტურებს და ისევე, როგორც საზოგადოებას სააკაშვილისადმი. ვფიქრობ, საგანგებო თემაა ჩვენი და უკრაინის მოკავშირეობის მთელი რიგი ასპექტები, მათ შორის რუსეთთან მიმართებაში, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გია ვოლსკიმ.

არა ძალადობას! — „ევროპული საქართველო“ კვირას მარჯანიშვილის მოედანზე აქციას გამართავს

„ქართველთა მარშის“ ორგანიზატორების ერთი ჯგუფის მიერ ფეისბუქზე თათია დოლიძის მიმართ ძალადობრივი შინაარსის კომენტარების წერისა და მუქარის შემდეგ, „ევროპულმა საქართველომ“ ძალადობის წინააღმდეგ აქცია კვირას, 20:00 საათზე, მარჯანიშვილის მოედანზე დააანონსა.

„ევროპული საქართველოს“ განცხადებით, კვირამდე გაიმართება კონსულტაციები სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან.

„სირცხვილი და მიუღებელია ქსენოფობია, ეთნიკური შუღლის გაღვივება“

გაეროში ახალგაზრდობის ყოფილი წარმომადგენლის თათია დოლიძის მიმართ განხორციელებულ შესაძლო მუქარას, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინა ფრუიძე სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმაურება:

– სირცხვილი და მიუღებელია ქსენოფობია, ეთნიკური შუღლის გაღვივება, უხამსობა, ძალადობისკენ მოწოდება, მუქარა, ბულინგი და შეურაცხყოფა. ამას გამართლება არ აქვს და ყოველთვის სათანადო პასუხი გაეცემა საზოგადოებისგან, – წერს ფრუიძე.

გია ჟორჟოლიანი: „საკონსტიტუციო პროცესი ხელახლა არ დაიწყება“

„თვითმმართველობასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია რომ არ გავიდა, ამის გამო ისტერიკაში არ ჩავვარდნილვარ“

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, სოციალ-დემოკრატი **გია ჟორჟოლიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თვითმმართველობის რეფორმაზე საუბრობს.

– ბატონო გია, ოპოზიციის თითქმის სრული შემადგენლობა პრეზიდენტს თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტისთვის და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებისთვის ვეტოს დადებას სთხოვს. თქვენც მმართველი გუნდისგან განსხვავებული ხედვა გქონდათ აღნიშნულ საკითხზე. დღეს როგორია თქვენი პოზიცია?

– მე ამ საკითხს ისე ტრაგიკულად არ ვუყურებ, როგორი კომენტარებიც გაკეთდა გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან. არაადეკვატური კომენტარები იყო, რომ დეცენტრალიზაციას ემუქრება საფრთხე, რომ აქამდე დეცენტრალიზებული იყო და ახლა ცენტრალიზებული ხდება.

როგორ განვითარდება ეს პროცესი შემდეგში, ეს დრომ უნდა გვაჩვენოს. რაც შეეხება იმას, რომ მაინცდამაინც 7 ქალაქი უნდა იყოს თვითმმართველი, მაგალითად, ამბროლაური უნდა ყოფილიყო და ზესტაფონი არ უნდა ყოფილიყო, რატომ? ეს არ მესმის. მე განსხვავებული დამოკიდებულება მქონდა მაშინაც.

– თქვენი პოზიცია დღეს როგორია?

– ჩემი მოსაზრება იყო, რაც შეიძლება მიგვეახლოებინა დასახლებულ პუნქტთან და შესაძლოა ორი დონე შეგვექმნა: თვითმმართველობისა და დასახლების დონე, პატარა მუნიციპალიტეტები, როგორებიც სხვადასხვა ქვეყნებშია. მაგალითად, ჩეხეთში, საფრანგეთში და ა.შ. ასევე, კომუნალური, საკომუნიკაციო, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად იქნებოდა საზღვრები დადგენილი. თუმცა, არაფერი ტრაგედია იმაში არ არის, რაც გვაქვს. ეს ისტერიკა და აჟიოტაჟი, რომელსაც ვხედავთ, აბსოლუტურად არ არის შინაარსთან დაკავშირებული.

– აბა რასთან არის დაკავშირებული?

– ეს არის დაკავშირებული პოლიტიკური ოპონირების აჩემებულ პოზიციასთან. გინდა თუ არა, არ უნდა მომეწონოს. ოპოზიციამ არ იცის, რას ნიშნავს კომპრომისი, მათ არ იციან ასე ქცევა. მათ იციან – ან ჩემი გავა ან საერთოდ არ მაინტერესებს სახელმწიფო, ასეთია მათი პოზიცია, ზოგიერთების, ყველაზე არ მაქვს საუბარი.

– თვითმმართველობის კოდექსზე უმრავლესობისგან განსხვავებული ხედვა გქონდათ, მაგრამ, როგორც თქვით, კომპრომისი იქნა მიღწეული, რის ხარჯზე?

– რა თქმა უნდა, ბევრი საკითხი იყო დადებითი ამ კოდექსში.

– მაგალითად, რა მოგეწონათ?

– დადებითი იყო პირდაპირი არჩევითობა. დადებითი იყო ის ცვლილება, რომ მკაფიოდ განისაზღვრა კომპეტენციები. კომპრომისი ნიშნავს იმას, რომ ჩემი პოზიცია მართალია სრულად არ გადის, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ ბევრი რაღაც არის მისაღები, მიდიხარ კომპრომისზე. როდესაც მექნება შესაძლებლობა ჩემს პოზიციებს ყოველთვის დავაყენებ და ყოველთვის ვიმსჯელებთ იმაზე, რომ რამდენიმე დონის თვითმმართველობა შევქმნათ. მაგრამ ჩემი პოზიცია თუ არ გავა, ამის გამო ისტერიკაში არ უნდა ჩავვარდე. მარტო მე და ჩემი პოზიციები ხომ არ არის, სხვებიც არიან, სხვებსაც აქვთ პოზიციები, ეს არის დემოკრატია. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი აზრის დიქტატი იქნებოდა.

– თავის დროზე, როდესაც თვითმმართველობის რეფორმა დაიწყო, პირადად ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მაშინ პრემიერი იყო, აიღო თავის თავზე, რომ გასულიყო ის კანონი, რომელშიც ახლა ცვლილებები შედის. მაშინაც იყო აზრთა სხვადასხვაობა გუნდში. რატომ იწვევს ეს რეფორმა ასეთ წინააღმდეგობას?

– ეს რეფორმა თავის დროზე დაიწყო. გამოიყო 7 თვითმმართველი ქალაქი, ვიღაც ამბობდა, რომ 20 ქალაქი იყოს თვითმმართველი, ვიღაც ამბობდა, 7 იყოს. ჩემთვის არსებითი იყო, რომ დასახლების დონეზე ყოფილიყო თვითმმართველობა, მაგრამ ჩემი იდეა არ გავიდა, ამიტომ დანარჩენს დავუჭირე მხარი. ძალიან ბევრი დისკუსია იყო და ყველას შეუძლია გაიხსენოს, ამ დისკუსიაში მონაწილეებს, რა იყო მაშინაც ჩემთვის არსებითი მთელ ამ პროცესში.

– 21 ივლისს გახდება პრეზიდენტის პოზიცია ცნობილი. თუ ვეტოს დაადებს, უმრავლესობა, როგორც ყოველთვის, დაძლევს?

– პრეზიდენტმა უნდა წარმოადგინოს მოტივირებული შენიშვნები, ჩვენ ამ შენიშვნებს განვიხილავთ და საპარლამენტო უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას.

– საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კომპრომისი იქნება მიღწეული, შედგება შეთანხმება? რურუა ამბობს, რომ საკონსტიტუციო პროცესი სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს.

– მე ეჭვი მეპარება, რომ ამის შესაძლებლობა არსებობდეს ტექნიკურადაც და პოლიტიკურადაც. აბსოლუტურად შეუძლებელია ამ პროცესის ხელახლა დაწყება. თუ რაღაცების გადახედვა გახდა საჭირო, ეს შემდეგშიც იქნება შესაძლებელი. არა მეორე მოსმენაზე შეიცვალოს, არამედ ხელახალი ინიცირება მოხდეს და ა.შ. ეს უკვე წმინდა სამართლებრივი საკითხია. რაც შეეხება პოლიტიკურ შეთანხმებას, რაც დღეს ორი მოსმენით არის მიღებული, იმის შეცვლის შესაძლებლობა და განწყობა უმრავლესობაში არ არსებობს. შესაბამისად, ცხადია, რომ საკონსტიტუციო პროცესი ხელახლა არ დაიწყება.

ანზორ აბრალავა: „ოპოზიცია ხალხს ვერ გამოიყვანს“

„რუსეთს მაღალჩინოსნები და შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირები უნდა დაელაპარაკონ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ბოლოდროინდელ მოვლენებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას**

– ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ქუჩის აქციებს მოაწყობს, თუ არ მოხდა შეთანხმება მმართველ პარტიასთან საარჩევნო საკითხებზე.

– არ არსებობს თანხმობა ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის გარშემო, როგორიც კონსტიტუციაა. მათ შორისაა საარჩევნო საკითხები. კონსტიტუცია თანხმობის შედეგი უნდა იყოს. უბედურება ისაა, რომ ქვეყნისათვის კარგი არ უნდა იმ ოპოზიციას, რომელიც რამდენი ხანია, ეძებს საბაბს ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად. ამ ოპოზიციას უნდა ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა და ამისათვის ყველა ხერხს იყენებს. ამ პარტიებს ხალხი რომ არ მიჰყვება, ეს ბევრჯერ დამტკიცდა. ვერც ახლა გამოიყვანს ეს ოპოზიცია ადამიანებს ქუჩაში.

– „ქართული ოცნება“ სწორად იქცევა, როცა არ ასრულებს ბევრჯერ გაცემულ დაპირებებს? ერთ-ერთი დაპირება 2020 წლის არჩევნებისათვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმება იყო. საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ ამაზე უარი თქვა და კონსტიტუციის შესწორების პროექტს ორი მოსმენით ნაჩქარევად კენჭი უყარა.

– მე ასე მოვიქცეოდი – მოითხოვს ოპოზიცია პროპორციულ არჩევნებს? დავაკმაყოფილებდი ამ მოთხოვნას, ასევე სხვა საარჩევნო ინიციატივებს. ამით „ქართულ ოცნებას“ არანაირი საფრთხე არ შეექმნებოდა. დღეს ოპოზიციურ პარტიებს საქართველოში ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ და როგორც არ უნდა შეცვალო კანონმდებლობა, მათ პარლამენტში მოხვედრის მინიმალური შანსი ექნებათ. ოპოზიცია ნებისმიერ ვარიანტში აგებს.

– ეს რისი ბრალია?

– სხვა მიზეზების გარდა, ეს მსოფლიო ტენდენციაა. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ახალმა სახემ პოლიტიკაში, ტრამპმა. მართალია, ის რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა, მაგრამ ამ გამარჯვებაში პარტიის წვლილი არ არის. ეს მისი პიროვნული დამსახურებაა. იგივე ითქმის საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონზე, რომელიც ცოტა ხნის წინ გამოჩნდა პოლიტიკაში. პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა იკლებს მთელ მსოფლიოში. საქართველოში პარტიების რეიტინგი დიდი ხანია, დაეცა.



– ეს ტენდენცია ადგილობრივ არჩევნებზეც აისახება? მოსახლეობა არაპარტიულ კანდიდატს მიანიჭებს უპირატესობას?

– აქ სხვა რეალობა გვაქვს. კახი კალაძეს დიდი უპირატესობა აქვს. სხვები, პარტიულებიცა და არაპარტიულებიც, არ არიან გამსვლელი კანდიდატურები.

– თბილისის მერის არჩევნებზე ისევ პარტიული ფაქტორი ხდება გადამწყვეტი?

– არა. მთავარია კახი კალაძის პიროვნული ფაქტორი.

– დამოუკიდებელი კანდიდატი რომ იყოს კალაძე, მაშინაც უკონკურენტო იქნებოდა?

– მას პიროვნული რეიტინგი აქვს. თუმცა, ბევრს ვერ დააჯერებ, რომ ეს გადამწყვეტია და მმართველი პარტია აქ გარდატეხას არ შეიტანს.

– ამ დღეებში საპროტესტო აქციები გამართა. ისინი რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასა და არალეგალურ მიგრაციას დაუკავშირდა.

– მცოცავი ოკუპაცია რომ დიდი პრობლემაა, ამაზე არავინ კამათობს. ეს ორი აქცია ერთ დღეს შემთხვევით არ გამართულა. ოკუპაციის გამპროტესტებლებმა კონკურენცია დაინახეს თბილისის მარშში და საჩქაროდ შეკრიბეს ხალხი საოკუპაციო ხაზთან. არალეგალური მიგრაცია და მათი კრიმინალური საქმიანობა აღშფოთებას იწვევს საზოგადოებაში. მიგრანტების შეზღუდვის მოთხოვნით აქციები გაიმართა გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებში. არ მესმის ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ნაცმოძრაობის პათოსი იმაზე, რომ ასეთი მარშები დაუშვებელია. თუ საფრანგეთში შეიძლება, საქართველოში რატომაა აკრძალული? ასეთ ალიაქოთს მარშებზე ტეხენ ისინი, ვისაც არ ესმის, რა არის ერი, კაცობრიობა და მაგისტრალური განვითარება. ასეთები საზოგადოების განწყობების წინააღმდეგ გამოდიან და საზოგადოებას ფაშიზმს აბრალებენ. ნაციონალური მოძრაობა ისევ დემაგოგიას ეწევა. ეგ პარტია რომ იყო ქვეყნის სათავეში, როცა საქართველომ მხარი დაუჭირა რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მაშინ ხელმოწერილი პირობები რას მოგვიტანს, კაცმა არ იცის. რუსეთთან ძალიან დაძაბულია ურთიერთობა.

– ბოლო დროს ისევ აქტუალური გახდა საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის თემა..

– ნაცმოძრაობა და მისი განაყოფები ხელისუფლებას აშანტაჟებენ რუსეთის თემით. მათი აზრით, რუსეთს საერთოდ არ უნდა დაელაპარაკო. ამ დროს ვითარება ყოველდღიურად იძაბება. რუსეთს უკავშირდება ჩვენი მთავარი პრობლემური ხაზი. მოვლენების კიდევ უფრო მძიმედ განვითარებას უნდა ველოდოთ. ამ სიტუაციაში აუცილებელია დიალოგი მაღალ დონეზე.

– პრეზიდენტისა და პრემიერის დონეზე?

– ამაში ჩართული უნდა იყვნენ პირველი პირებიც. ზურაბ აბაშიძეს უნდა მიენიჭოს მაღალი სტატუსი. მაგალითად, ვიცეპრემიერობა. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებებით უნდა აღვჭურვოთ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მოღვაწეები. გარკვეული სტატუსი უნდა მიენიჭოს ყველას, ვისთვისაც რუსეთის ბიუროკრატიულ სისტემაში გზა ხსნილია. ეს აუცილებელია შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად და ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად.

კახა კალაძე: „მოვუწოდებ ყველა საჯარო პირს, ისაუბრეთ და დაუპირისპირდით ოპონენტებს მორალის, ადამიანობის და პოლიტიკური კულტურის ფარგლებში“

– ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს პოლიტიკურ ნიადაგზე აგრესიული დაპირისპირება და ადამიანების შეურაცხყოფა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

კალაძე მოუწოდებს ყველა საჯარო პირს, პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებს – იმოქმედონ, ისაუბრონ და დაუპირისპირდნენ ოპონენტებს მორალის, ადამიანობის და პოლიტიკური კულტურის ფარგლებში.

– წარმოუდგენელია აცხადებდე, რომ იცავ ყველაფერ იმას, რაც ღირებულია ჩვენი ქვეყნისთვის – სტუმართმოყვარეობა, ტოლერანტობა, ქალისადმი პატივისცემა და ვაჟკაცობა, და რეალურად, საქციელით ამას ყველაფერს ზურგით უდგებოდე. საზოგადოება, პოლიტიკური კულტურა ვერ განვითარდება ასეთი სტილის ოპონირების პირობებში.

განსხვავებულ, მიუღებელ აზრს პატივს თუ არ ვცემთ, უნდა იმის უნარი მაინც გვქონდეს, საკუთარი ისე ჩამოვაყალიბოთ და დავუპირისპიროთ, რომ ადამიანებს ღირსება არ შევულახოთ. მოვუწოდებ ყველა საჯარო პირს, პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებს – იმოქმედეთ, ისაუბრეთ და დაუპირისპირდით ოპონენტებს მორალის, ადამიანობის და პოლიტიკური კულტურის ფარგლებში, – ნათქვამია კახა კალაძის განცხადებაში.

მამუკა ტუსკაძე გიორგი ბაჯელიძეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს

გულიკო ბალაძე

დავების საბჭოს წევრი და უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე არასამთავრობო ორგანიზაცია „არა კორუფციას“ წარმომადგენელ გიორგი ბაჯელიძის წინააღმდეგ გამოდის.

„ახალ თაობასთან“ საუბრისას **მამუკა ტუსკაძე** გიორგი ბაჯელიძეს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

– არასამთავრობო ორგანიზაცია „არა კორუფციას“ წარმომადგენელმა გიორგი ბაჯელიძემ განაცხადა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შესყიდვების უფლება, სასჯელაღსრულების უწყების საკვებით მომარაგებისთვის, გარკვეულ კომპანიას ჩაწყობით გადასცა. მე ვარ შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს წევრი, ზუსტად ვიცი, სად, როგორ, რა ხდება. ამიტომ გიორგი ბაჯელიძეს პატივისა და ღირსების შემლახველი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ვადანაშაულებ, – განაცხადა მამუკა ტუსკაძემ.

– რატომ ფიქრობთ, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა?

– გიორგი ბაჯელიძემ ერთდროულად ორი სახელმწიფო უწყების, როგორც შესყიდვების სააგენტოს, ასევე სასჯელაღსრულების სააგენტოს მიმართ ცრუ ინფორმაცია გაავრცელა. ორივე უწყებას გიორგი ბაჯელიძემ ღირსება შეულახა მის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციით.

გიორგი ბაჯელიძე მუშაობდა საიდუმლო შესყიდვებზე და ისეთს მოაგებინა ტენდერი, ვისაც საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდა. ეს იყო სახელმწიფო დანაშაული, რის გამოც დააპატიმრეს და ციხეც მოახდევინეს. ახლა გაბოროტებულია და არ იცის, რა გააკეთოს. რადგან „ოცნების“ ხელისუფლებამ დააკავა, სააკაშვილის კლანთან დაიწყო თანამშრომლობა. ახლა გივი თარგამაძის გავლენის ქვეშ არის და მის დავალებებს ასრულებს.

– გივი თარგამაძის რა დავალებებს ასრულებს?

– დაიწყო შეტევა შესყიდვების სააგენტოსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს წინააღმდეგ.

– შეტევა რაში გამოიხატება?

– მან თქვა, რომ ტენდერები გაყალბდა.

– არ გაყალბებულა?

– არ გაყალბებულა. ეს არის აბსურდი, რადგან ტექნიკურად შეუძლებელია ტენდერების გაყალბება.

– რატომ არის შეუძლებელი ტენდერების გაყალბება?

– გაყალბება შეუძლებელია, რადგან ტენდერი ელექტრონულად ტარდება. ტენდერს სასჯელაღსრულების სამინისტრო არ ატარებს. სასჯელაღსრულების სამინისტრო პირობებს აცხადებს. ტენდერს კი შესყიდვების სააგენტო ატარებს. შესყიდვების სააგენტო პროცესს ელექტრონულად წარმართავს. ტენდერებზე შესყიდვების სააგენტოა პასუხისმგებელი. სასჯელაღსრულების სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი ტენდერებზე. სასჯელაღსრულების სამინისტროს, პირობითად რომ ვთქვათ, სჭირდება 100 კგ ხორცი, ყველი და კვერცხი, მაგრამ ტენდერი როგორ გამოცხადდება, როგორ ჩატარდება და რა იქნება, ამის უზრუნველყოფას შესყიდვების სააგენტო ახორციელებს.

– თქვენ გამორიცხავთ, რომ შესყიდვების სააგენტოს დაეშვა რაიმე გადაცდომა?

– დიახ, გამოვრიცხავ, რომ შესყიდვების სააგენტომ რაიმე გადაცდომა დაუშვა. აქედან გამომდინარე, გამოვრიცხავ იმასაც, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრომ რაიმე გააყალბა. სასჯელაღსრულების სამინისტრო ვერ აკონტროლებს შესყიდვების უფლების მოპოვებაზე ჩატარებულ ტენდერებს. სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელში არ არის ტენდერების ჩატარების კონტროლი.

– რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ჯანელიძე გივი თარგამაძისაგან იმართება და თარგამაძე აძლევს მითითებებს?

– თარგამაძე ნაცმოძრაობაში თავის დროზე იყო და ახლაც კურატორობს უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებს, ძალოვან სტრუქტურებს. ამიტომ თუ სადმე აგენტია ჩანერგილი, დღეს ყველას კოორდინატორი გივი თარგამაძეა. ეს ჩანერგილი აგენტები დღეს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებში არიან და ნაცმოძრაობაზე მუშაობენ. ისინი ყველა გივი თარგამაძის აგენტები არიან.

– ამ ინფორმაციას, კონკრეტულად, რომელიმე აგენტი შეიძლება აწვდიდეს თუ გამოგონილი ინფორმაციაა?

– დიახ, გამოგონილი ინფორმაციებია. ბაჯელიძე ამ შემთხვევაში იმიტომ გამოიყვანეს წინა პლანზე ხალხის დასანახად, რომ ის შესყიდვების სპეციალისტია. ის მუშაობდა შესყიდვების სააგენტოში. ამიტომ ჩათვალეს, რომ ბაჯელიძის კომენტარი ამ საკითხზე მეტი სარწმუნო იქნებოდა, ვიდრე ვიღაც რიგითი პიროვნების განცხადება.

– ანუ ბაჯელიძე არის შესყიდვების სპეციალისტი. თუ გქონდათ დავების საბჭოში მასთან გასაუბრება, რის საფუძველზე საუბრობდა ტენდერების გაყალბებაზე?

– მოვისმინეთ მისი კომენტარი და ამიტომ ვამბობთ, რომ ბაჯელიძე ტენდერების გაყალბებაზე უსაფუძვლოდ საუბრობს. ტენდერების ჩატარებას არეგულირებს „კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. თუ ბაჯელიძეს დავუჯერებთ, გამოდის, კანონი ყოფილა თავისთავად არასწორი. კანონი პარლამენტმა მიიღო და მუშაობს. თუ ბაჯელიძეს რაიმე შესწორების შეტანა უნდა, ამისთვის საჭირო არ არის ცრუ ინფორმაციის გავრცელება. მით უმეტეს, 19 ივლისს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში ახალი ცვლილებები და ახალი რეგულაციები შედის.

– რა ახალი რეგულაციები შედის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში“?

– ბიზნესსა და სახელმწიფო ინტერესებზე მორგებულ კანონში ცვლილებები შედის ძალაში. მათ შორის, დაშვებულია ფასიანი მომსახურება, შესყიდვების ტექნიკური პირობები იცვლება, სახელმწიფო შესყიდვები კრიზისული სიტუაციების დროს მარტივდება. მოკლედ, კანონმდებლობა უფრო მოქნილი ხდება. სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭო უფრო მეტ ფუნქციას იძენს.

– თქვენ აცხადებთ, რომ გიორგი ბაჯელიძის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა. მაშინ ამით გიორგი ბაჯელიძემ რა მოიგო?

– გიორგი ბაჯელიძემ ცრუ ინფორმაციის გავრცელებით ორი კურდღელი დაიჭირა. ერთი მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ წამოიწყო მზაკვრული კამპანია, მეორე მხრივ, დარტყმის ობიექტად სასჯელაღსრულების სამინისტრო აარჩია, ყველაზე სუფთა უწყება. ამიტომ სასჯელაღსრულების სამინისტრო ბაჯელიძეს სასამართლოში უჩივის.

თურქეთში მომხდარი ავარიისას დაშავებული მშობელი – ბავშვებს გადაველობე, რომ ავტობუსის ფანჯრიდან არ გადავარდნილიყვნენ

თურქეთში მომხდარი ავარიის დროს დაშავებული მაია ებრალიძე, რომელსაც ფეხის ამპუტაცია დასჭირდა, შემთხვევის დეტალებს იხსენებს.

როგორც მაია ებრალიძემ განაცხადა, ბავშვებს გადაეღობა, რომ ავტობუსის ფანჯრიდან არ გადავარდნილიყვნენ, რა დროსაც ფანჯარაში ფეხი მოჰყვა, ვარდნის შემდეგ კი ფეხზე ავტობუსი დაეცა.

– ავარიის დროს ყველას ეძინა, მე გამეღვიძა მაშინ, როცა ავტობუსი უკვე გადაბრუნებული იყო და მინდორზე მიხოხავდა. ერთადერთი, რაც შევძელი, ავტობუსის სალონისკენ სახით შევბრუნდი, რადგან ჩემი შვილი გვერდით მეჯდა და ბავშვებს გადაველობე, რომ არ გავარდნილიყვნენ ფანჯრიდან... ერთადერთი ეს მოვიაზრე იმ მომენტში... საბედნიეროდ 26-ვე ბავშვი არის ჯანმრთელად და არც ერთის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გონება არც ერთი წამით არ დამიკარგავს. სასწრაფო დახმარების მანქანები ძალიან მალე მოვიდნენ, მაგრამ ჩემი გამოყვანა გაჭირდა – ფეხი ავტობუსის ქვეშ მქონდა მოყოლილი, საჭირო გახდა სპეციალური აპარატით ავტობუსის ნაწილების გადახერხვა, რომ გამოვეყვანე... სხვა არანაირი შეფერხება არ ყოფილა, პირიქით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო როგორც თურქეთის, ასე საქართველოს მხარეს. ასევე თურქეთის მოქალაქეებს, რომლებიც ავარიის შემდეგ გვეხმარებოდნენ რითიც შეეძლოთ, – განაცხადა მაია ებრალიძემ.

რაც შეეხება მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მაია ებრალიძე სტაბილურადაა და საავადმყოფოში ერთ კვირას დარჩება.

– ფეხის ამპუტაციის გარდა, სხვა არანაირი სახის დაზიანება არ მაქვს. რადგან ფანჯრის მხარეს ვიჯექი, ვარდნა არ განმიცდია, ზუსტად ჩემ მხარეს გადაბრუნდა ავტობუსი და ბავშვები დავიჭირე... მე არაფერს დავჯახებივარ, ფეხი მომყვა გარეთ ფანჯრიდან და შემდეგ ავტობუსი დამეცა ზევიდან. სხვა არაფერი ტრავმა არ მაქვს გარდა იმისა, რომ ფეხი ვერ შემინარჩუნეს, სამწუხაროდ... – აღნიშნა მაია ებრალიძემ.

16 ივლისს, თურქეთში მომხდარი ავარიის დროს ერთ-ერთ დაშავებულს, რომელიც ბავშვის მშობელია, ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა. ახალგაზრდა ქალი ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი თანამშრომელია. „იმედის გმირების“ და „გრიფით საიდუმლოს“ ყოფილი პროდიუსერი მაია ებრალიძე გასტროლზე მცირეწლოვან შვილს მიჰყვებოდა.

აფგან მუხთარლის მეუღლემ პოლიციას ახალი მტკიცებულებები გადასცა

აფგან მუხთარლის მეუღლემ პოლიციას ახალი მტკიცებულებები გადასცა. აფგან მუხთარლის მეუღლე ლეილა მუსტაფაევა ძველი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში გამოკითხვაზე სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

როგორც გამოკითხვის შემდეგ მუსტაფაევამ ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარი მათ მიერ მოპოვებულ ახალ მტკიცებულებებს ეხებოდა. საუბარია აფგან მუხთარლის პირად ალბომში აღმოჩენილ ფოტოებზე, სადაც, მუსტაფაევას ინფორმაციით, ის ადამიანები არიან აღბეჭდილნი, რომლებიც მის მეუღლეს გატაცებამდე რამდენიმე დღით ადრე უთვალთვალებდნენ. მუსტაფაევას თქმით, ფოტოზე აღბეჭდილი პირები აზერბაიჯანელები არიან.

აფგან მუხთარლის მეუღლის განცხადებით, ფოტოზე აღბეჭდილი პირების ვინაობის დადგენა გამოძიების ფარგლებში აქამდეც იყო შესაძლებელი.

– მე მივეცი პოლიციას სამი ფოტო იმ პირების, რომლებიც აფგანს უთვალთვალებდნენ მის გადაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე. დამატებით ერთი ადამიანი იკვეთება ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გაშვებულ სიუჟეტში, რომელიც ჯერ დაშგენს, შემდეგ კი აფგანს უთვალთვალებდა. პოლიციას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეძიებინა ამ პირების ვინაობა, თუმცა ეს არ გააკეთა. ფოტოზე აზერბაიჯანელი მოქალაქეები ჩანან, – აღნიშნა ლეილა მუსტაფაევამ.

ოჯახის ადვოკატის, არჩილ ჩოფიკაშვილის განცხადებით, კითხვები არსებობს გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, უკვე არსებობს იმის საჭიროება, რომ პარლამენტმა საქმესთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო შექმნას და პასუხი გაეცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც აქვს ოჯახს და რომლებზეც კითხვებს სვამენ ევროპარლამენტარები. ადვოკატის განცხადებით, თუ საქმის გამოძიება ამ ტემპში გაგრძელდა, თეორიულადაც კი არ ჩნდება შანსი, რომ აფგან მუხთარლის საქმის გამოძიება მოხდეს.

„ქართული ოცნება“ სამართალდამცავებს მოუწოდებს, ახალციხეში მომხდარ სამართალდარღვევაზე დროული რეაგირება მოახდინონ

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სამართალდამცავებს მოუწოდებს, ახალციხეში მომხდარ სამართალდარღვევაზე დროული რეაგირება მოახდინონ.

მომხდარს „ქართული ოცნება“ განცხადებით ეხმაურება, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს. პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მომხდარის გამო შეშფოთებას გამოთქვამს და ვინც უნდა იყოს დაპირისპირების მხარე, ძალადობის ყოველგვარ ფაქტს კატეგორიულად გმობს.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, სამართალდარღვევის ფაქტზე დროული რეაგირება მოახდინონ. ასევე, მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, მსგავსი ფაქტები პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენონ, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

ნაციონალური მოძრაობის წევრის, ნიკა მელიას ინფორმაციით, ახალციხის რაიონის სოფელ ურაველში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს და მისი ოჯახის წევრებს „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, გუბერნიის და გამგეობის თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ზვიად ციკოლია ეკონომიკის სამინისტროს პირობის დარღვევაში ადანაშაულებს

ქართველი დიზაინერის ზვიად ციკოლიას პროექტი საქართველოში პლასტმასის წარმოებასთან დაკავშირებით არ დაწყებულა.

როგორც დიზაინერი „საქმის კურსთან“ აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში პროექტის განხორციელებაში დახმარებას დაპირდა, ამ მიმართულებით წინსვლა არ არის.

– პროექტი დარჩა პროექტის სახით. არაფერი წინსვლა და ხელშეწყობა იმის გარდა, რაც ტელევიზორში ილაპარაკეს, არ ყოფილა. ერთი არის ის, რომ პროექტი დაწერეს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით. თქვეს, რომ უნდა წავიდე და ინვესტორი ვიპოვო, სულ არის მილიონ 200 ათას დოლარზე საუბარი. თუ ეს თანხა არ აქვს ქვეყანას იმისთვის, რომ საწარმო გააკეთოს, რომელიც განვითარდება, ხალხს დასაქმებს, ე.ი. ეს ქვეყნის პრიორიტეტი არ არის, – ამბობს დიზაინერი „საქმის კურსთან“.

მისი თქმით, ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, აქამდე საწარმო უკვე ამუშავებული იქნებოდა.

– მე ყველაფერი გავაკეთე ამ პროექტისთვის, მაგრამ ქვეყანას არ აინტერესებს და რა ვქნა?! – ამბობს ზვიად ციკოლია.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ პლასტმასის საწარმოს შექმნის იდეის შესახებ ზვიად ციკოლიამ საკუთარ „ფეისბუკში“ დაწერა.

– 5 მილიონს ვიხდით „აეროსმიტში“. 2.5 მომეცით და წარმოებას გავაკეთებ და დავასაქმებ ხალხს. ექსპორტზე გავიტან პროდუქციას და ჩინურ-თურქულ პროდუქციას ნელ-ნელა ადგილობრივით ჩავანაცვლებ, – წერდა ციკოლია.

ამის შემდეგ ციკოლია ეკონომიკის მინისტრს გიორგი გახარიას შეხვდა. სამინისტროს განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „საწარმოს შექმნიდან პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ განახორციელებდა“.

იანვარში კი პროექტს პრემიერმინისტრიც გამოეხმაურა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ცნობილი ქართველი დიზაინერი ზვიად ციკოლია საქართველოში ახალი საწარმოს გახსნას გეგმავს, რაც მთავრობის მხრიდან მხარდაჭერილი იქნება.

– მინდა მივესალმო იმ ინტერესს, რომელიც ბოლო დღეებში გამოთქვა მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა ზვიად ციკოლიამ, რომ ამ პროგრამის ფარგლებში შექმნას საწარმო საქართველოში. ჩვენ მზად ვართ, პროგრამის ფარგლებში სრული თანადგომა გავუწიოთ ამ პროექტს, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ ჩვენი ნიჭიერი თანამოქალაქეებისგან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებით მოღვაწეობენ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მოგების გადასახადის ცვლილება სარგებელს ქვეყნის მდიდარ მოსახლეობას მისცემს

მსოფლიო ბანკმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, კვლევა „სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვა“ მოამზადა. კვლევაში მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ მოკლე და გრძელვადიან პერიოდში, სახელმწიფო ხარჯები მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდება, – ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი სოციალური ხარჯები და მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სახელდება.

მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ დაგეგმილი საპენსიო რეფორმის ფონზე სამთავრობო ხარჯები კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, მთავრობა გეგმავს, რომ კიდევ უფრო გაზარდოს კაპიტალური დანახარჯები დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ფონზე. პარალელურად ხარჯების ზრდისა, ქვეყანაში შემოსავლების ზრდაც მოსალოდნელია, – ამის მიზეზად გადასახადების ე.წ. ესტონური მოდელი სახელდება, რომელიც ძალაში უკვე შესულია. თუმცა, მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ 2018-2019 წლებში შემოსავლების კვლავ კლებაა მოსალოდნელი, რამდენადაც მოგების გადასახადის შეღავათები ამ პერიოდში, უკვე ფინანსურ ორგანიზაციებზეც გავრცელდება. რეფორმით კონკრეტულ შედეგებს მსოფლიო ბანკი 2020 წლიდან ელოდება.

– ფისკალური რისკების შესამცირებლად კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა საჭირო, – აღნიშნავს მსოფლიო ბანკი.

კვლევაში ვკითხულობთ, რომ მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის პარალელურად საბიუჯეტო დეფიციტი შესაძლოა 4%-ზე ზევით იყოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პარალელურად, მთავრობამ დასახა გეგმა, რომ 2020 წლამდე საბიუჯეტო დეფიციტი 3%-ზე ჩამოვიდეს.

– გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონალური პერსპექტივები კვლავ გაურკვეველია, საბიუჯეტო შემოსავლები და ფისკალური ბალანსი შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს, – აღნიშნავს მსოფლიო ბანკი.

რაც შეეხება ესტონური მოდელით მიღებული დანაკლისის დაკომპენსირებას გადასახადების ზრდით, – მსოფლიო ბანკის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გადასახადების ამ ფორმით ზრდა ყველაზე მეტად მოსახლეობის ღარიბ ფენას დაარტყამს.

– მოგების გადასახადის ცვლილება სარგებელს ქვეყნის მდიდარ მოსახლეობას მისცემს; თამბაქოზე, ალოჰოლზე და საწვავზე გაზრდილი ფასები კი ღარიბ მოსახლეობას დაუზარალებს. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ საწვავის ფასის ზრდა იწვევს სხვა პროდუქციის და სერვისების ფასების ზრდას, – ვკითხულობთ ანგარიშში.

მსოფლიო ბანკი მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტს საქართველოსა და ესტონეთში ერთმანეთს ადარებს და აღნიშნავს, რომ შედეგი საქართველოსთვის განსხვავებული იქნება, რამდენადაც რეფორმით საქართველოსთვის ფისკალური რისკი მეტად გაიზრდება. კერძოდ, – მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ საქართველოს გადასახადების ე.წ. ესტონური მოდელით მეტ შემოსავალს დაკარგავს, ამის მიზეზად კი ის ფაქტი სახელდება, რომ ესტონეთში საგადასახადო შემოსავლები უფრო მაღალი იყო რეფორმის იმპლემენტაციამდე, ვიდრე ეს საქართველოშია. ამასთან, კორპორაციული გადასახადი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში საქართველოში ორჯერ მეტი იყო, ვიდრე ესტონეთში.

აღმაშენებლის გამზირზე სასტუმროების კომპლექსი აშენდება

რადიო „კომერსანტისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი ხდება, რომ აღმაშენებლის გამზირზე 178 ნომერში სასტუმროების კომპლექსის მოწყობა იგეგმება. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურისგან მშენებლობისთვის ნებართვა უკვე გაცემულია.

აღმაშენებლის გამზირზე 178 ნომერში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ყოფილი „ინსტიტუტის“ შენობა მდებარეობს. გეგმის მიხედვით, მოხდება მისი რეაბილიტაცია და მის უკან ახალი სასტუმროს აშენება. პროექტის მფლობელი კომპანია „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტის“ ხელმძღვანელი დავით გელბახიანი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ტერიტორიაზე „აკორის“ ჯგუფში შემავალი წითელი IBIS-ის ბრენდის 3-ვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენობაში კი 5-ვარსკვლავიანი ქართული ნაციონალური სასტუმრო გაიხსნება.

– IBIS-ის სასტუმრო 150 ნომრიანი იქნება, ნომრების გარდა, აქ განთავსდება ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, რესტორანი, ბარი და სხვა. საინვესტიციო ღირებულება 7 მილიონი დოლარია. 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო კი 20 ნომრიანია, ის გადაწყვეტილი იქნება ქართულ სტილში, ქართულ ნაციონალურ სეგმენტში. ამ პროექტის ღირებულება 3,5 მილიონი დოლარია. ორ სასტუმროს საერთო ეზო ექნება, – აცხადებს გელბახიანი.

პროექტის დასრულება 2018 წლის ბოლოსაა დაგეგმილი.

მისივე განმარტებით, „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“ სასტუმროების დეველოპმენტ კომპანიაა, რომელიც უკვე ფლობს ერთ ჰოსტელს ვაკეში. ირკვევა, რომ ამავე კომპანიის პროექტი იყო სასტუმრო „მერკური“ თბილისში, სამომავლოდ კი თბილისს გარეთ ერთი ბრენდული სასტუმროს გახსნაა დაგეგმილი.

„საქართველოს ჰიდრორესურსების მხოლოდ 20% აქვს ათვისებული, რაც ეკონომიკის განვითარების ტემპს ხელს უშლის“

– ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც დაგროვილ წყალზე მუშაობენ, დროულად აშენების შემთხვევაში ჩაანაცვლებს იმპორტირებულ ენერგიას, რომელსაც ზამთარში ვყიდულობთ, – ამის შესახებ ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა დავით მირცხულავამ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრა.

როგორც მირცხულავამ აღნიშნა, იმპორტირებული ენერგიის წილი იზრდება, თუმცა ქვეყანას ჰიდრორესურსი გააჩნია.

– იმპორტირებული ენერგიის წილი იზრდება. ამ დროს გვაქვს ჰიდრორესურსი ქვეყანაში, რომელიც უნდა გამოვიყენოთ. ენერგეტიკული სტრატეგიის პროექტს თუ დავესესხებით, 2025 წლისთვის 5000 მეგავატი ახალი სიმძლავრეები უნდა შევიყვანოთ ექსპლუატაციაში. იგეგმება დაახლოებით 16 სადგურის აშენება, ზოგი უკვე აშენდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტემპები ძალიან არის გასაზრდელი, – განაცხადა მირცხულავამ.

მისი თქმით, ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა მშენებლობას მოსახლეობა ეწინააღმდეგება, რეალურად იმპორტირებულ ენერგიას ჩაანაცვლებს, რაზეც ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება.

– ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა პრობლემებს აწყდება. მაგალითად, ნენსკრას, ხუდონის სადგურის შემთხვევები. ერთ-ერთი მაინც რომ აშენებულიყო, მათი დაახლოებითი გენერაცია მილიარდნახევარ კილოვატსაათამდე იქნებოდა. მომავალ წელს მეზობელი ქვეყნებიდან სწორედ ამდენი რაოდენობის იმპორტი იგეგმება. ეს არის უზარმაზარი სავალუტო გასავალი. ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც დაგროვილ წყალზე მუშაობენ, დროულად თუ აშენდება, ჩაანაცვლებს იმპორტირებულ ენერგიას, რომელსაც ზამთარში ვყიდულობთ, – აღნიშნა დავით მირცხულავამ.

ამასთან, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის თქმით, გაუგებარია მოსახლეობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობა, რადგან ევროპის ქვეყნების მაგალითზე, ჯობს, რომ ჩვენმა ქვეყანამაც გამოიყენოს ჰიდროპოტენციალი: „ევროპის ქვეყნებს ჰიდროპოტენციალი 90%-ზე მეტად აქვთ ათვისებული, ჩვენ კი მხოლოდ 20%, რაც ეკონომიკის განვითარების ტემპს ხელს უშლის“.

გაზის ტრანსპორტირების ტარიფი გაიზარდა

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ ტარიფი გაიზარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება „სემეკის“ გუშინდელ სხდომაზე მიიღეს. სემეკის გადაწყვეტილებით, 1 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი თბოსადგურებისთვის, „ყაზბეგი გაზისთვის, „დუშეთი გაზისთვის“ და დანარჩენი მომხმარებლებისთვის 1.884 ლარი იქნება.

2000 წლიდან დღემდე თბოელექტროსადგურებისთვის გაზის ტრანსპორტირების ტარიფი 1 კუბურ მეტრზე იყო 0.9 ლარი, „ყაზბეგი გაზისთვის“ ასევე – 0.9, „დუშეთი გაზისთვის“ – 1.167, დანარჩენი მომხმარებლებისთვის – 1.383 ლარი.

აღნიშნული ტარიფი ძალაში 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იქნება.

„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ ოპერირებას უწევს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ კუთვნილ მაგისტრალურ გაზსადენებს და მის ინფრასტრუქტურას, რომლის მეშვეობით საქართველოს მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას 3 ძირითადი მიმართულებიდან ახორციელებს – აზერბაიჯანიდან, შაჰ-დენიზის საბადოებიდან და რუსეთიდან, ასევე უზრუნველყოფს გაზის ტრანზიტს რუსეთის ფედერაციიდან სომხეთის რესპუბლიკაში.

რაც შეეხება გაზის სამომხმარებლო ტარიფებს, ხვალ სემეკი შპს „ყაზტრანსგაზ თბილისისთვის“ შპს „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და სს „საქორგგაზისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფებს დაადგენს.

სხდომას ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები დაესწრნენ და მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს. მათივე განცხადებით, სემეკმა გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაძვირება არ უნდა დაუშვას.

პრეზიდენტის შვილის მეგობარი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს



თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის შვილის მეგობარი თორნიკე კაჭარავა 15 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

თორნიკე კაჭარავა ნარკოდანაშაულისთვის (260-ე მუხლის პირველი ნაწილით) მიმდინარე წლის 15 მაისს დააკავეს.

ლანჩხუთში 20 წლის ბიჭი დაჭრეს

ახალგაზრდა მამაკაცი ლანჩხუთში საკუთარი საცხოვრებელი სახლის წინ ცივი იარაღით დაჭრეს.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს ადგილიდან აცნობეს, ახალგაზრდა მამაკაცის დაჭრაში შსს-ს მიერ ძებნილი პირი მონაწილეობდა.

დაჭრილი ლანჩხუთის „მედალფას“ კლინიკაშია გადაყვანილი.

მისი მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია,

შსს-ს ცნობით, საქმეზე გამოძიება სსკ 117-ე მუხლით (სხეულის განზრახ დაზიანება) მიმდინარეობს.

„დადგენილია პირი, მიმდინარეობს ინტენსიური სამძებრო სამუშაოები, – აცხადებენ უწყების პრესსამსახურში.

საქართველოში მადრიდის ინტერპოლის მიერ ძებნილი ისრაელის მოქალაქე დააკავეს

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამმართველოს – „თბილისის აეროპორტის“ თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ისრაელიდან საქართველოში შემოსვლისას მადრიდის ინტერპოლის მიერ 2007 წლიდან ძებნილი, ისრაელის მოქალაქე, 1974 წელს დაბადებული დ.შ. დააკავეს.

დაკავებულს ბრალი ედება ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 386-ე მუხლის 1-ელი ნაწილის და 387-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ვალუტის და საგადასახადო შტამპების გაყალბებას გულისხმობს.

ამჟამად, დაკავებულის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

შსს-მ თათია დოლიძის მიმართ მუქარის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს შსს-ს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოში 2017 წლის 17 ივლისს დაიწყო გამოძიება სოციალური ქსელის საშუალებით თათია დოლიძის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით.

ამის შესახებ ინფორმაცია „ნიუპოსტს“ უწყებიდან მიაწოდეს.

ე.წ ქართული მარშის ორგანიზატორები, ფეისბუკზე გამოქვეყნებული კრიტიკული სტატუსის გამო, გაეროში საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა ელჩს თათია დოლიძეს გაუპატიურებით ემუქრებიან. მსგავსი შინაარსის სტატუსები და კომენტარები სოციალურ ქსელში „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა კონსტანტინე მორგოშიამ, ასევე „მარშის“ სხვა ორგანიზატორებმა, გია კორკოტაშვილმა, მიხეილ ამისულაშვილმა და სხვებმა გამოაქვეყნეს.

მას შემდეგ, რაც მათ მიერ გამოქვეყნებულმა კომენტარებმა საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია. „ქართველთა მარშის“ ორგანიზატორებმა ფაცებოოკ-ზე აღნიშნული პოსტი წაშალეს და განაცხადეს, რომ ეს განცხადებები მათ არ ეკუთვნოდათ და ისინი ყალბი ე.წ. ფეიკი გვერდების მეშვეობით გაკეთდა, თუმცა სოცქსელის რამდენიმე მომხმარებელმა მათი მიმოწერის „სქრინი“ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გააკეთა და გამოაქვეყნეს, არსებობს ამ მიმოწერის ამსახველი ვიდეოც.

19 წლის ანა ხელაძის მკვლელობას მის 21 წლის ბიძაშვილს აბრალებენ?

თბილისში, უზნაძის ქუჩაზე 19 წლის გოგონას, ანა ხელაძეს, ყელი გამოჭრეს.

გარდაცვლილი საკუთარ საცხოვრებელ ბინაში მეზობელმა იპოვა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

19 წლის გოგონას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით „ნიუპოსტისთვის“ ახალი დეტალები გახდა ცნობილი. როგორც ჩვენს კორესპონდენტს უზნაძის ქუჩაზე მცხოვრებმა ერთ-ერთმა პირმა განუცხადა, ახალგაზრდა გოგონა დეიდას ბინაში, ბიძაშვილ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა, რომელსაც ამ დრომდე ვერ პოულობენ.

მეზობლების ინფორმაციით, გარდაცვლილის დეიდა ამჟამად ფოთშია, ის გოგონას მთელი დღის განმავლობაში ტელეფონზე ურეკავდა და როდესაც ვერ დაუკავშირდა, დასახმარებლად მეზობლებსა და სამართალდამცავებს მიმართა.

უზნაძის 117-ში მცხოვრებლები „ნიუპოსტს“ უცხადებენ, რომ გარდაცვლილი გოგონა ბიძაშვილის მეგობრებმა იპოვეს, რომლებიც ბიჭს ეძებდნენ. ახალგაზრდები საცხოვრებელ სახლში ფანჯრიდან გადაძვრნენ, ადგილზე გვამი დახვდათ. გარდაცვლილს ჭრილობა ყელის არეში აქვს მიყენებული.

რაც შეეხება მოკლულის დეიდაშვილს, მას ტელეფონი ამ დრომდე გამორთული აქვს.

– მობილურზე ურეკავდნენ, სატელეფონო ზარებს არც ერთი მათგანი არ პასუხობდა. გოგონა აქ ცხოვრობდა, – განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა.

გარდაცვლილის ნაცნობი, ჯინა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გოგონას ტელეფონზე ზარი განახორციელა.

– დეიდამ დამირეკა, მთხოვა, გადადი, ანა არ მპასუხობს და გაარკვიე, რა ხდებაო. მე ბიძაშვილი საერთოდ არ ვიცი, როგორც ჩემთვის ცნობილია, ოჯახში კიდევ ერთი ადამიანი, სავარაუდოდ, ძმისშვილი ცხოვრობდა, – აცხადებს კიდევ ერთი მეზობელი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით აწარმოებს. 108-ე მუხლი, განზრახ მკვლელობის მუხლია და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 7-15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გუშინ საღამოს სამართალდამცველებმა 19 წლის ანა ხელაძის 21 წლის ბიძაშვილი დააკავეს.

თბილისში დაკავებული მამაკაცი 100-ზე მეტ არასრულწლოვან ბიჭთან გარყვნილ კავშირს აღიარებს



თბილისში დაკავებული 42 წლის მამაკაცი 100-ზე მეტ არასრულწლოვან ბიჭთან სექსუალურ კავშირს აღიარებს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, პედოფილიაში ბრალდებული მამაკაცი ერთი კვირის წინ შს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ დააკავა. არსებული ინფორმაციით გ.ვ. ბრალს აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობს. „პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი ხდება, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული საქმის მასალების გაცნობის შემდეგ რამდენიმე ადვოკატმა მის დაცვაზე უარი თქვა.

ერთ-ერთი უფლებადამცველი, რომელსაც საქმის მასალებთან შეხება ჰქონდა, აცხადებს, რომ გამოძიებას უკვე იდენტიფიცირებული ჰყავს 15-მდე მოზარდი, მათ შორის არასრულწლოვნები, რომლებთანაც დაკავებულს სექსუალური კავშირი ჰქონდა. ასევე, ამოღებულია 30-ზე მეტი სატელეფონო კავშირი სავარაუდო მსხვერპლებთან, თუმცა დაკავებული გ.ვ. ირწმუნება, რომ მას 100-ზე მეტ მოზარდ ბიჭთან ჰქონდა სექსუალური კავშირი, რომელთა ასაკიც 14-დან 16 წლამდეა.

„პრაიმტაიმისთვის“ არაოფიციალურად ხდება ცნობილი საქმის დეტალები. კერძოდ, 42 წლის მამაკაცი დანაშაულს ძირითადად თბილისის სხვადასხვა უბნებში სჩადიოდა. მისი სამიზნე სოციალურად დაუცველი ბავშვები იყვნენ. ის არასრულწლოვან მოზარდებს უახლოვდებოდა და მათ ფულისა და ფასიანი საჩუქრების სანაცვლოდ სექსუალურ მომსახურებას აიძულებდა.

ბავშვებთან სექსუალურ აქტს ის სკვერებში, სადარბაზოებსა და ლიფტებში ამყარებდა. მსხვერპლთა უმრავლესობასთან კი კავშირს არ წყვეტდა და მათთან პერიოდულად ამყარებდა გაუკუღმართებული და ორალური გზით სექსუალურ აქტს. ჩვენთვის ცნობილი ხდება ერთ-ერთი ასეთი ისტორია, რომელიც საქმის მასალებში დევს. 42 წლის მამაკაცმა სექსუალური კავშირის დამყარების სანაცვლოდ კომუნალური გადასახადები დაუფარა მსხვერპლს.

საუბარია 15 წლის მოზარდ ბიჭზე, რომელმაც ამ შემოთავაზების სანაცვლოდ პედოფილს სექსუალური მომსახურება გაუწია. აღნიშნული პირის მიმართ გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე და 141-ე მუხლებით.

ციანიდის საქმის განხილვა დღეს განახლდება

ციანიდის საქმის განხილვა დღეს განახლდება. პროცესი ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვით გაგრძელდება. პროკურატურა, სავარაუდოდ, კვლავ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს დაკითხავს.

წინა პროცესზე სახელმწიფო ბრალდებამ დაზარალებული, პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი, მეუფე იაკობი, მეუფე თეოდორე, მამა მიქაელ ბოტკოველი და მამა დავით ჭინჭარაული დაკითხა.

სახელმწიფო ბრალდებამ უკვე დაკითხა საქმის მთავარი მოწმე, ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე, ასევე ექსპერტები, რომლებმაც დეკანოზის ბინიდან ამოღებულ იარაღს ექსპერტიზა ჩაუტარეს და გამომძიებლები, რომლებიც სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობდნენ.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს პროკურატურა შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებას ედავება. მას ბრალი თავდაპირველად მკვლელობის მომზადებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში ედებოდა, თუმცა მოგვიანებით პროკურატურამ მას ბრალი დაუმძიმა და ანგარებით განზრახ მკვლელობის მომზადების მუხლით გადაუკვალიფიცირა.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე პროკურატურამ ძიება 27 აპრილს დაასრულა. საგამოძიებო უწყების ვერსიით, არსებული მატერიალური და იერარქიული მდგომარეობის შენარჩუნებისა და მომავალში კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ ანგარებით განიზრახა ძლიერმოქმედი მომწამვლელი ნივთიერების, ციანიდის გამოყენებით შორენა თეთრუაშვილის მკვლელობა.

გარდა ამისა, პროკურატურა დეკანოზ გიორგი მამალაძეს ასევე ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავება.

ქუთაისში მაღაზიას კამაზის ტიპის მანქანა შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა ქუთაისში – ერთ-ერთ მაღაზიას კამაზის მარკის ავტომობილი შეეჯახა. მიქელაძე-მეველეს ქუჩაზე დაღმართზე მომავალ სატვირთო მანქანას, სავარაუდოდ, მუხრუჭებმა უმტყუნა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მაღაზიაში მყოფი ორი ქალბატონი დაშავდა და ამჟამად ისინი ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში არიან გადაყვანილნი. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია.

დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე ხანძარი შესაძლოა მაცივრის გაუმართაობას გამოეწვია

მოვაჭრეების ნაწილის ინფორმაციით, დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე ხანძარი შესაძლოა მაცივრის გაუმართაობას გამოეწვია. მოვაჭრეების ნაწილის ინფორმაციით, ე.წ. დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე ხანძარი შესაძლოა ერთ-ერთ საწყობში არსებული მაცივრის გაუმართაობას გამოეწვია.

აღნიშნული ვერსია ჟურნალისტებთან საუბრისას დიდუბის გამგებელმა, ირმა ზავრადაშვილმაც გააჟღერა.

ამასთან, დიდუბის რაიონის გამგებლის ინფორმაციით, ბაზრის საწყობებში ცეცხლი 200 კვ.მ ფართობზე გავრცელდა.

მისივე თქმით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შეტყობინება 15.15 საათზე შევიდა, ნახევარ საათში კი ხანძრის ლოკალიზაცია მოხდა.

– ცეცხლი, სავარაუდოდ, მაცივრიდან გავრცელდა, ზარალი უცნობია, – განაცხადა გამგებელმა.

მისივე თქმით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ ბაზრობებზე პრევენციული შემოწმებები პერიოდულად ტარდება. როგორც ზავრადაშვილმა აღნიშნა, გამგეობა უახლოეს პერიოდში ბაზრის მეპატრონეებთან შეხვედრას გეგმავს, „რომლის დროსაც შემოწმების აქტების გადახედვა იგეგმება“.

– ნამდვილად ცუდი ფაქტებია, ნამდვილად ვწუხვარ ამის გამო, რაც დღეს მოხდა, თუმცა მსხვერპლი არ არის. სასწრაფო და სახანძრო ბრიგადები აქ არიან.

ბრალეულობა გამოიკვეთოს და ზარალის ანაზღაურებაზე შემდეგ იქნება საუბარი, – განაცხადა დიდუბის გამგებელმა.

თვითმხილველთა განცხადებით, ცეცხლი სწრაფად გავრცელდა.

ტრამპმა ახალი მრჩეველი დანიშნა

სკანდალი, რომელიც ტრამპის გუნდის რუსებთან კონტაქტების გამო აზვირთდა, გრძელდება. ახალმა ინფორმაციამ ცეცხლზე ნავთი დაასხა. გამოირკვა, რომ ტრამპის ვაჟი რუსეთის წარმომადგენელს მართლაც შეხვდა. საუბარია უმცროსი ტრამპის შეხვედრაზე რუს ადვოკატ ნატალია ვესელნიცკაიასთან, რომელსაც მისთვის ჰილარი კლინტონზე კომპრომატები უნდა გადაეცა. აღნიშნული ინფორმაციის გამომზეურებამ ტრამპის რისხვა გამოიწვია:

– ის, რაც ჩვენს პრესაში ხდება, არავითარი დემოკრატიის ჩარჩოებში არ ჯდება! – განაცხადა ტრამპმა.

– ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ ტრამპის ვაჟი რუსეთის წარმომადგენელს შეხვდა. ოფიციალური არხების გარდა, არსებობს არაოფიციალური არხები. ამის გარეშე დიდი პოლიტიკა არ არსებობს, – განაცხადა პოლიტოლოგმა დიმიტრი საიმსმა.

არსებულმა სიტუაციამ აიძულა ტრამპი, რიგი ნაბიჯები გადადგა. აშშ-ის პრეზიდენტმა ახალი მრჩეველი დანიშნა. ესაა ცნობილი ადვოკატი ტაი კობი. მისი ამოცანა რუსეთთან კავშირის გამო აზვირთებულ სკანდალზე რეაგირება იქნება. კობი დაეხმარება ტრამპს, რათა ახალ სიტუაციასთან დაკავშირებით ეფექტური ტაქტიკა შეიმუშაოს.

ჯერჯერობით კი ტრამპის რეიტინგი ეცემა. მან 36%-ს მიაღწია.

აშშ-ს ასეთი დაბალრეიტინგიანი პრეზიდენტი ჯერ არ ჰყოლია.

სენატორმა მაკეინმა ოპერაცია გაიკეთა



სენატორი მაკეინი მომავალ კვირაში კონგრესის სხდომებს ვერ დაესწრება. მან თვალზე გაიკეთა ოპერაცია. მაკეინს მარცხენა თვალში სისხლი დაუგროვდა. მიზეზი ვენის ტრომბოზი აღმოჩნდა.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

ამჟამად მაკეინი თავის სახლში იმყოფება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

ერდოღანი სიკვდილით დასჯის მომხრეა

თურქეთში წარუმატებელი გადატრიალების წლისთავი აღნიშნეს. პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქმა ხალხმა დემოკრატია დაიცვა.

– ჩვენ მთელს მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ სამშობლოს დაცვა შეგვიძლია, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

ერდოღანმა პუტჩისტებს ბოროტმოქმედები უწოდა და მათი სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

– შეთქმულები და მოღალატეები არ უნდა დავინდოთ, – ამბობს ერდოღანი.

ლიუ სიუბოს ქვრივს ქვეყნიდან გასვლის ნებას არ აძლევენ



გარდაცვლილი ჩინელი დისიდენტისა და ნობელის პრემიის ლაურეატის ლიუ სიუბოს ქვრივს ქვეყნის დატოვების უფლებას არ აძლევენ. ქალი ოფიციალურად პასუხისგებაში არ მიუციათ. ის შინაპატიმრობაში იმყოფება. დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარეობს აქციები ლიუ სიუბოს დასაცავად. დემოკრატიული სამყარო ჩინეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ დისიდენტის ქვრივს ქვეყნის დატოვების უფლება მისცენ.

დონბასში შახტებს ხურავენ

„დონეცკის რესპუბლიკაში“ შახტების მასობრივი დახურვა მიმდინარეობს. მაკეევკაში ცხრა შახტიდან მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს. შახტების დახურვა სხვა დასახლებულ პუნქტებშიც მიმდინარეობს. „დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურმა ზახარჩენკომ თავის ინტერვიუში დაადასტურა, რომ შახტები მართლაც იხურება.

– დონეცკის რესპუბლიკას ამ შახტების შენახვა არ შეუძლია, – თქვა ზახარჩენკომ.

სეპარატისტების ლიდერის ცნობით, რეგიონი რუსეთის ინვესტიციებს ელოდა. ეს საქმეს არ შველის, რადგან დონბასში ბრძოლები არ ცხრება.

– უკრაინელები აცხადებენ, რომ დონბასი ოკუპირებულია და ამ ტერიტორიაზე რუსეთის ბიზნესსაქმიანობას არ დავუშვებთო. ისინი რეგიონის ინფრასტრუქტურას მიზანმიმართულად ანგრევენ. ასეთ სიტუაციაში ინვესტიციების მოზიდვას უბრალოდ აზრი არა აქვს, – განაცხადა ზახარჩენკომ.

დასასრულს, სეპარატისტების ლიდერმა კრემლს დონბასის რუსეთის შემადგენლობაში მიღებისკენ მოუწოდა.

– თუ არ გვიპატრონებთ, დონბასი განადგურდება, – აცხადებს ზახარჩენკო.

საპროტესტო აქცია ვარშავაში

ვარშავაში სასამართლო რეფორმა გააპროტესტეს. პოლონელი საზოგადოების ნაწილის აზრით, რეფორმა, რომლის გატარებასაც ხელისუფლება აპირებს, სასამართლოს დამოუკიდებლობას დაასამარებს.

მანიფესტაცია ქალაქის ცენტრში გაიმართა. მასში 5.000-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

მანიფესტანტებს მოჰქონდათ როგორც პოლონეთის, აგრეთვე ევროკავშირის დროშები და სკანდირებდნენ: „პოლონეთი ევროპაა!“ „არა ჯიბის სასამართლოს!“ და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯანლეიდოსკოპი

ავსტრალიელს ფეხის ცერა თითი ხელზე გადაუნერგეს

ავსტრალიაში პაციენტს, რომელმაც ხელის ცერა თითი დაკარგა, მისივე ფეხის ცერა თითი გადაუნერგეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

20 წლის ავსტრალიელმა ზაკ მიტჩელმა მეცხოველეობის ფერმაში მუშაობის დროს მიიღო ტრავმა. ერთი ხარი, რომელსაც ის მიდენიდა, ხელზე ისე დაეჯახა, რომ ხელის ცერა თითი მოსწყდა.

ფერმიდან უახლოეს საავადმყოფომდე 150 კილომეტრი იყო. იმ დროისთვის, როდესაც დაშავებული პერტეს საავადმყოფოში მიიყვანეს, ხუთი საათი იყო გასული. ექიმებმა ორი ოპერაცია ჩაატარეს, მაგრამ მოგლეჯილი თითის მიკერება ვერ შეძლეს.

მიტჩელი სიდნეიში გაემგზავრა იმის იმედით, რომ იქაური ექიმები მას პროთეზს გაუკეთებდნენ. სპეციალისტმა, რომელთანაც კონსულტაციაზე მივიდა, ახალგაზრდა დაარწმუნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ დაკარგული თითის სანაცვლოდ საკუთარი ფეხის ცერა თითს გადაუნერგავდნენ.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ახალგაზრდის მტკიცებით, ოპერაციის შემდეგ ის ოდნავ კოჭლობს. ექიმების ვარაუდით, გადანერგილი თითი მგრძნობელობას აღიდგენს და შემდეგ ფუნქციონირებას ორ-სამ თვეში შეძლებს.

ტანზანიაში ლომმა ლეოპარდის ნაშიერზე მზრუნველობა იკისრა

დედალმა ლომმა, რომელიც ტანზანიის ნაკრძალ Ndutu Safari Lodge-ში ბინადრობს, ლეოპარდის ნაშიერზე ზრუნვა და მისი გამოკვება იკისრა. ხუთი წლის ლომისა და ლეოპარდის ნაშიერის ერთობლივი ფოტოსურათი ფოტოგრაფმა ჯუპ ვან დერ ლინდემ გადაიღო. მტაცებელი სახელად ნოსიკიტოკი ასევე ზრუნავს საკუთარ სამ ბოკვერზე, რომლებიც მას 27 ივნისს ეყოლა. დოქტორ ლიუკ ჰანტერის თქმით, რომელიც ველური კატების უფლებათა დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, ეს სრულიად უნიკალური შემთხვევაა. მისი მტკიცებით, დედალი ლომი ლეოპარდის ნაშიერს ისევე ეპყრობა, როგორც საკუთარ ბოკვერს. სად იმყოფება პატარა ლეოპარდის დედა, ჯერჯერობით უცნობია. სპეციალისტების აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ლეოპარდის ნაშიერი საკუთარი სახეობის წარმომადგენლებს დაუბრუნდება.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

იტალიის ქალაქში ძაღლებს ნიშნობის ბეჭდის მიტანა აეკრძალათ

იტალიის ლომბარდიის რეგიონის ქალაქ პონტიროლო-ნუევოს მერმა საქორწინო ცერემონიის დროს ძაღლების მიერ ნიშნობის ბეჭდის მიტანა აკრძალა.

პონტიროლო-ნუევოს მუნიციპალიტეტის შენობაში მიმდინარეობდა საქორწინო მზადება, რომლის დროსაც ბეჭდები სიძისა და პატარძლისთვის კუთვნილ ბულმასტიფის ჯიშის ძაღლებს უნდა მიეტანათ.

ქალაქის მერი ასეთი გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა.

– შენობაში ძაღლების საბელებითა და პირსაკრავებით შემოშვებაზე უარს არ ვიტყოდი, – განაცხადა ქალაქის მერმა, – მაგრამ მათთვის საქორწინო ბეჭდების მიცემა, ეს უკვე მეტისმეტია.

წყვილმა გადაწყვიტა, საკუთარ გეგმაზე უარი არ ეთქვათ. ისინი საქორწინო ცერემონიის სხვა ქალაქში ჩატარებას გეგმავენ.

ინვალიდისეტლიანმა ქალმა ხანდაზმული იაპონელი იმსხვერპლა

იაპონიის კაგავას პრეფექტურის ქალაქ ტაკამაცუში 76 წლის ქალი დაიღუპა, რომელსაც ინვალიდის ეტლი დაეცა, რომელშიც ქალი იჯდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ავეჯის მაღაზიაში მოხდა. 81 წლის მამაკაცი ინვალიდის ეტლით, რომელშიც მისი მეუღლე იმყოფებოდა, ესკალატორით ადიოდა. მესამე სართულზე ასვლის დროს მან წონასწორობა დაკარგა, კიბეზე დაგორდა და ინვალიდის ეტლი თავის მეუღლესთან ერთად გაიყოლა.

ისინი ხანდაზმულ ქალბატონს დაეცნენ, რომელიც მათ უკან იმყოფებოდა. ამ შემთხვევიდან რვა საათში ქალი მიღებული ტრავმების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა. მამაკაცი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა, ხოლო მისმა მეუღლემ მოტეხილობა მიიღო.

მაღაზიაში გამოკრულია ნიშნები, რომელიც საბავშვო და ინვალიდის ეტლებით ესკალატორით სარგებლობას კრძალავს. მამაკაცის მტკიცებით, ის ასე დაუფიქრებლად მოიქცა. ის შესაძლოა გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის მიეცეს პასუხისგებაში.

ჩინეთის მაღაზიაში ქმრების შესანახი საკანი გაიხსნა



შანხაის სავაჭრო ცენტრში გაიხსნა შესანახი კამერა, რომელშიც მყიდველი ქალები საკუთარი მეუღლის ჩაბარებას შეძლებენ, რომელსაც მასთან ერთად მაღაზიაში სიარულის სურვილი არ ექნება.

ყოველი მამაკაცისთვის გათვალისწინებულია ცალკე მინის საკანი, სკამით და კომპიუტერით, რომელშიც 1990-იანი წლების თამაშებია ჩატვირთული. პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში აღნიშნული მომსახურება უფასო იქნება. მომავალში კი ქალებს, რომლებიც მეუღლის შემნახველ საკანში ჩაბარებას გადაწყვეტენ, მობილური ტელეფონით მცირე თანხის გადახდა მოუწევთ.

ერთ-ერთმა ჩინურმა გამოცემამ გამოკითხა მამაკაცები, რომლებმაც ამ ახალი სერვისით ისარგებლეს. ერთ-ერთი მათგანი ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომელმაც აღნიშნა, რომ თავს ისე გრძნობდა, თითქოს სკოლაში დაბრუნდა. მეორემ ჩანაფიქრი შეაქო, მაგრამ იქ ვენტილაციის და კონდიციონერის არ ქონაზე გაამახვილა ყურადღება.

პუმა ფანჯრიდან მძინარე ქალს საწოლში ჩაუხტა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ კოლუზაში პუმა საცხოვრებელი ბინის ფანჯარაში შეხტა და მძინარე ქალის საწოლში ამოჰყო თავი.

მრავალბინიანი შენობის მენეჯერის თქმით, სადაც აღნიშნული ინციდენტი მოხდა, ქალი მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ეს სიზმარი არ იყო და მის წინ მართლაც დიდი მტაცებელი ცხოველი იდგა. მას სიმშვიდე არ დაუკარგავს და კარი გააღო, რათა ცხოველი გარეთ გაეშვა.

ბუნების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერი შეისწავლეს და დაადგინეს, თუ საიდან გაჩნდა იქ პუმა. ვიდეოზე ასახულია, რომ მტაცებელმა პიკაპის წინ გადაჭრა ქუჩა, ბოულინგის კარს დაეჯახა, შემდეგ საცხოვრებელი სახლის მახლობლად მდებარე ავტოსადგომი გაიარა და ამის შემდეგ შეხტა სახლის ფანჯარაში.

ინციდენტი 4 ივლისს მოხდა, თუმცა ვიდეოჩანაწერი მხოლოდ ახლახან გასაჯაროვდა, მას შემდეგ, რაც თევზისა და სანადირო რესურსების საოლქო კომისიის სხდომა გაიმართა. მასზე ჩინოსნები იმაზე მსჯელობდნენ, თუ რა მოუხერხონ პუმებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად ჩნდებიან მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

უფეხებო მოდელი პოდიუმზე პროთეზებით გამოვიდა

შოტლანდიელი სტეისი პერისი, რომელმაც ბელფასტში ალტერნატიული მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა, პირველი ბრიტანელი მოდელი გახდა, რომელსაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს.

– მოდის ბიზნესი არასოდეს ყოფილა ის, რომლითაც მსურდა, რომ დაკავებული ვყოფილიყავი, მაგრამ ორი წლის შემდეგ რამდენიმე ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა და ახლა ერთადერთი მოდელი ვარ გაერთიანებულ სამეფოში, რომელსაც ორივე ფეხის ამპუტაცია მაქვს გადატანილი, – განაცხადა სტეისი პერისმა, – ეს ჩემი შანსია, ადამიანებს დავანახო, რომ შეიძლება სხვანაირი იყო და ეს არაფერს ნიშნავდეს.

2009 წელს საფრანგეთში დასვენების შემდეგ პერისს განუვითარდა ნეკროტიული ფასციტი – ბაქტერიული ინფექცია, რომელიც ქსოვილების კვდომას იწვევს. გოგონას გადასარჩენად ექიმებმა მარცხენა ფეხის ნაწილი მოჰკვეთეს, მაგრამ ინფექციის შეჩერება ვერ შეძლეს. რამდენიმე წლის განმავლობაში გოგონამ 20-ზე მეტი ოპერაცია გადაიტანა და მთლიანად დაკარგა ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა ფეხიც.

პერისი პოდიუმზე გამოვიდა პროთეზებით, რომელმაც ის მის ბუნებრივთან შედარებით რვა სანტიმეტრით მაღალი გახადა. გოგონა, გარდა იმისა, რომ პოდიუმზე გამოდის, გლაზგოს უნივერსიტეტში მოლეკულურ ბიოლოგიას სწავლობს.

ბადიდან გათავისუფლებულმა ვეშაპმა მხსნელი მოკლა

კანადის ჩრდილოეთ სანაპიროსთან წმინდა ლავრენტის ყურეში ვეშაპმა მოკლა მოხალისე, რომელმაც ის მეთევზეთა ბადიდან გაათავისუფლა.

კანადელი მეთევზე ჯო ჰაულეტი ბადეში გახლართულ ვეშაპთან დასახმარებლად კანადის თევზჭერისა და ოკეანეების სამინისტროს კუთვნილი სწრაფი რეაგირების ხომალდით მივიდა. მან გადაჭრა თოკები და ცხოველს ბადის ნარჩენებისგან გათავისუფლებაში დაეხმარა, რომელიც მას ცურვასა და ჩაყვინთვაში ეხმარებოდა. ბადისგან გათავისუფლებული ვეშაპი წყლიდან ამოხტა და მაშველს კუდი დასცხო. შედეგად მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

ჰაულეტი რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობდა იმ ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც იშვიათი სახეობის ვეშაპების გადარჩენით იყო დაკავებული. ამ დროის განმავლობაში მან ბადეებში გახლართული ათეულობით ცხოველი გადაარჩინა. დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე ის ამავე ყურეში სხვა ვეშაპს დაეხმარა, რომელიც ასევე სათევზაო ბადეში იყო გახლართული.

მარკ უოლბერგის ძმამ რესტორნის თანამშრომელს ჯიბის ფულად ორი ათასი დოლარი დაუტოვა

ამერიკელი მსახიობის მარკ უოლბერგის უფროსმა ძმამ დონიმ რესტორნების ქსელ ჭაფფლე ᲬᲝᲣᲡ-ში მომსახურე პერსონალს ჯიბის ფულად ორი ათასი დოლარი დაუტოვა. ამის თაობაზე მამაკაცმა ინფორმაცია სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი აღნიშნავს, უოლბერგს სურდა ამით ეჩვენებინა, თუ რამდენად აფასებს დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომლების შრომას და ასევე აღენიშნა იქ კარგი სერვისის არსებობა.

– დედაჩემი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ოფიციანტად, ხოლო მამა ბარმენად. როდესაც ჭაფფლე ᲬᲝᲣᲡ-ში აღმოვჩნდი, დაწესებულების თანამშრომლების მომსახურების წყალობით თავი მეფესავით ვიგრძენი და მათ ისე ვექცეოდი, როგორც დედოფლებს შეეფერებათ, – დაწერა მომღერალმა საკუთარ გვერდზე.

უოლბერგმა ინტერნეტში განათავსა ქვითრის ფოტო, რომელზეც მითითებული იყო 82 დოლარი და ჯიბის ფულად დატოვებული თანხა. სოციალურ ქსელში მისმა ფოტომ 100 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომღერალი თავის მუსიკალურ ჯგუფთან ერთად ტურნეში იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველომ მაკედონიას მოუგო

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში მეორე გამარჯვება მოიპოვა და შემდეგ ეტაპზე გასვლამდე ალბანეთის ძლევა აკლია. ტურნირის სადებიუტო მატჩში მასპინძლებთან დამარცხების შემდეგ, ნიკო ჩერქეზიშვილისა და გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა გუნდმა ჯერ მალტას მოუგო, გუშინ კი მაკედონიასაც სძლია და ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ალბანეთსაც თუ მოუგებს, მეორე ადგილს გაინაღდებს.

არსებობს მცირე შანსი, რომ საქართველომ პირველი ადგილი დაიკავოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ზეგ მაკედონია რუმინეთს ქულათა გარკვეული ოდენობით მოუგებს, თუმცა ამაზე ახლა საუბარი არასერიოზულია.

ქართველებმა მაკედონიას საკმაოდ იოლად მოუგეს. ბალკანელებმა საბოლოოდ დიდი სხვაობით წააგეს, თუმცა 3 პერიოდის განმავლობაში ქართველებს სოლიდურ წინააღმდეგობას უწევდნენ.

საქართველომ მაკედონიელები ბოლო პერიოდში გატეხა, რომელიც 24:7 მოუგო და საბოლოოდ 30 ქულით – 78:48 გაიმარჯვა. ჩვენს გუნდში შეუჩერებელი იყო დავით აფხაზავა, რომელმაც 34 წუთში 27 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა გამთამაშებელმა თამაშიდან 13-დან 11 სროლა ჩააგდო. 17 ქულა ჩააგდო გოგა ბითაძემ, ხოლო ალექსანდრე ფევაძემ ქართველებს 11 ქულა შეაშველა.

ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები დ ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდება, რომელიც დიდი ალბათობით ხორვატია იქნება.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲨᲔᲮᲒᲣᲠᲗᲘ

ᲯᲝᲜᲯᲐᲯᲐᲤᲘ. ᲝᲥᲘᲮᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

ნიკარაგუა-აშშ	0:3
იამაიკა-სალვადორი	1:1
კიურასაო-მექსიკა	0:2

ᲰᲘᲡᲔᲗᲘ-ᲰᲘᲔᲛᲘᲔᲰᲘᲦᲘᲒᲐ

სკა ხაბაროვსკი-ზენიტი	0:2
რუბინი-კრასნოდარი	1:2
ახმატი-ამკარი	1:0

ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲘᲐᲯᲦᲡᲘᲐ

არკა-სლასკი	2:0
ნეცეჩა-იაგელონია	0:1
ლეხი-ნოვი სონჩი	0:0

ᲣᲯᲘᲐᲜᲐ. ᲰᲘᲔᲛᲘᲔᲰᲘᲦᲘᲒᲐ

კარპატი-ზვეზდა	1:1
მარიუპოლი-ვერესი	0:0
ოლეკსანდრია-ოლიმპიკი	0:2
ზორია-სტალი	0:1

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲗᲘᲦᲘᲒᲐ

ლუნგბიუ-სილკებორგი	2:1
ჰობრო-ჰელსინგერი	2:1
ბრონდბიუ-მიდტიულანდი	4:0

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲚᲘᲡᲕᲔᲜᲡᲘᲐ

იორებრო-გიოტებორგი	4:2
აიკი-ნორჩიოპინგი	1:0
ესტერსუნდი-დიურგარდენი	2:1

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ. ᲔᲚᲘᲢᲡᲔᲗᲘᲐ

მიოლდე-სტრომგოდსეტი	0:0
სანდერფიორდი-ტრომსო	3:0
ოდ გრელანდი-ვიკინგი	0:2
ჰაუგესუნდი-ალესუნდი	2:0
ბრანი-სარპსბორგი	0:1

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ. ᲕᲔᲘᲯᲐᲣᲡᲚᲘᲒᲐ

ვაასა-ინტერი	3:2
ილვესი-ჰიკი	1:1
ლახტი-როვანიემი	1:1
ჯჯკ-სეინეიოკი	0:2

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ ᲯᲐᲪᲔᲑᲘ – ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ფედერერი-ჩილიჩი	6:3,6:1,6:4

მოამზადა მისელ ჟორჟოლიანმა

რა რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ მაღალი ტემპერატურის დროს

ეკა ირემაშვილი

დადგა ზაფხული და ჰაერის ტემპერატურაც დღითიდღე იზრდება. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე მაღალ ტემპერატურასთან დაკავშირებით საზოგადოებას მნიშვნელოვან რეკომენდაციებს აძლევს.

პაატა იმნაძე:

– მაღალი ტემპერატურის დროს უმთავრესი რეკომენდაციაა – შეინარჩუნეთ სახლში სიგრილე.

შეეცადეთ, საცხოვრებელ გარემოში შეინარჩუნოთ სიგრილე. სახლში ტემპერატურა შეამოწმეთ დილის 8 საათიდან 10 საათამდე, 13 საათზე და ღამით 22 საათის შემდეგ. დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32^{0}C, ხოლო ღამით კი 24^{0}C-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ.

ღამით გააღეთ ფანჯრები და დატოვეთ ღია დილამდე, სანამ გარეთ სიგრილე იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ეს სახიფათო არ არის.

დღისით შეამცირეთ სახლში სიცხის შეღწევა – დახურეთ ფანჯრები, ჟალუზები და დარაბები, განსაკუთრებით მზის მხარეს. შეძლებისდაგვარად გამორთეთ ელექტრომოწყობილობები და ხელოვნური განათება.

მზის მხარეს ჩამოაფარეთ დამჩრდილავი ფარდები, ჟალუზები, დარაბები.

ჩამოკიდეთ სველი პირსახოცები, რაც გაგრილებასთან ერთად სახლს დაატენიანებს.

თუ სახლში გაქვთ კონდენციონერი, დაკეტეთ კარი და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოთ ელექტროენერგია. ეს აგაცილებთ ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტის საფრთხეს.

– რა შემთხვევაში გამოვიყენოთ ვენტილატორი?

– ვენტილატორი გამოგადგებათ იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურა არ აღემატება 35^{0}ჩ-ს. ხოლო თუ ტემპერატურა აღემატება 35^{0}ჩ-ს, ის ვერ მოგიხსნით სიცხესთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ჰაერის მაღალი ტემპერატურის დროს, აუცილებელია ადამიანმა მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე.

– როგორ ავარიდოთ თავი სიცხეს?

– გადადით ცხელი ოთახიდან გრილში, განსაკუთრებით ღამით.

თუ შეუძლებელია სახლში სიგრილის შენარჩუნება, შეეცადეთ დღის 2-3 საათი გაატაროთ გრილ ადგილას, მაგალითად, რომელიმე საზოგადოებრივ შენობაში, სადაც ჰაერი კონდენციონერით გრილდება.

მოერიდეთ ქუჩაში გასვლას დღის ყველაზე ცხელ პერიოდში.

მოერიდეთ მაღალინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას. თუ ეს აუცილებელია, მაშინ მის შესასრულებლად გამოიყენეთ დილით ყველაზე გრილი პერიოდი: დილის 4 საათიდან 7 საათამდე. დარჩით ან გაჩერდით ჩრდილში. არ დატოვოთ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში.

– როგორ შევინარჩუნოთ სხეულის სიგრილე?

– მიიღეთ გრილი შხაპი, ან გამოიყენეთ ყინულის პაკეტები, სველი პირსახოცი, და სხვა.

ქუჩაში გასვლისას ატარეთ ნატურალური მასალის, ღია ფერის, თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი ან კეპი, ან ქოლგა და მზისგან დამცავი სათვალე.

იხმარეთ საწოლის მსუბუქი თეთრეული და არავითარი ბალიში, რათა სიცხის დაგროვება აიცილოთ თავიდან.

მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე, გარდა ალკოჰოლის, ტკბილი და კოფეინიანი სასმელებისა.

საკვები მიიღეთ ხშირად და მცირე ულუფობით. მოერიდეთ ცილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებს.

ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, შეგიძლიათ დაეხმაროთ სხვებსაც და გააცნოთ ეს ინფორმაცია ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებს, რომლებიც ძირითადად მარტონი არიან.

ოჯახში განიხილეთ, თუ როგორ იმოქმედოთ მაღალი სიცხის დროს ექსტრემალურ პირობებში, რათა ყველამ იცოდეს, თუ როგორ დაეხმარონ საკუთარ თავსაც და სხვა ადამიანებსაც.

თუ იცნობთ ავადმყოფ ან მარტოხელა ხანდაზმულებს, რომელთაც სჭირდება თქვენი დახმარება, მოინახულეთ სულ მცირე ყოველდღე.

თუ იცით, რომ ადამიანი ყოველდღიურად ღებულობს რომელიმე მედიკამენტს, ჰკითხეთ მის მკურნალ ექიმს, წამალი ხომ არ მოქმედებს ორგანიზმის თერმორეგულაციაზე, ან სითხის ბალანსზე.

შეისწავლეთ პირველი დახმარების ჩვევები, რათა იცოდეთ, როგორ მოიქცეთ სხვადასხვა საგანგებო სიტუაციების დროს. ეს ყველამ უნდა იცოდეს, რადგან შესაძლოა დასჭირდეს.

– როგორ მოვიქცეთ სიცხეში, თუ ჯანმრთელობის პრობლემები გვაქვს?

– მედიკამენტი შეინახეთ 25^{0}ჩ-ის ქვემოთ ან მაცივარში. შენახვის წესები წაიკითხეთ ინსტრუქციაში.

თუ გაქვთ ქრონიკული დაავადების დიაგნოზი, ან ღებულობთ ერთდროულად რამდენიმე მედიკამენტს, მათი დოზისა და მიღების ჯერადობის შესახებ აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

თუ თქვენ იგრძენით თავბრუსხვევა, სისუსტე, ფორიაქი, ძლიერი წყურვილი ან თავის ტკივილი, სასწრაფოდ მოთავსდით გრილ ადგილას და გაიზომეთ სხეულის ტემპერატურა.

მიიღეთ წყალი ან ხილის ნატურალური წვენი.

თუ გაქვთ კუნთების მტკივნეული სპაზმი, განსაკუთრებით ფეხებში, ხელებში ან მუცელზე, საჭიროა ელექტროლიტების შემცველი ხსნარების მიღება. თუ აღნიშნული სიმპტომები ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

ექიმს მიმართეთ მაშინაც, თუ გრძნობთ უჩვეულო სიმპტომებს და ეს სიმპტომები დიდხანს ნარჩუნდება.

თუ შეამჩნევთ, რომ ოჯახის რომელიმე წევრი ან ნებისმიერი ადამიანი ცხელია, კანი გამომშრალი აქვს, ბოდავს, კრუნჩხვები აქვს ან დაკარგა გონება, სასწრაფოდ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა ან დაუკავშირდით ოჯახის ექიმს. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დაზარალებული გადაიყვანეთ გრილ ადგილას, დააწვინეთ ჰორიზონტალურად, აუწიეთ ფეხები, გაუხსენით ტანსაცმელი, რომ არ უჭერდეს; კისერზე, იღლიის ქვეშ, საზარდულის არეში დაადეთ ყინულის პაკეტი, ტანი დაუზილეთ 25-30^{0}C ტემპერატურის წყლით და გაუზომეთ სხეულის ტემპერატურა. ამ დროს აუცილებელია გონებადაკარგული ადამიანის გვერდზე მოთავსება.

მუსიკოსები ძალადობის წინააღმდეგ

– არ დამალო ძალადობა, ილაპარაკე! – მოუწოდებენ მუსიკოსები ძალადობის მსხვერპლებს და სპეციალურ ვიდეორგოლს ავრცელებენ.

ნინო ქათამაძე, ერეკლე დეისაძე, ვახო ბაბუნიშვილი, ზურა ჯავახია, მაქსიმე მაჩაიძე და სხვა მუსიკოსები საზოგადოებას აფრთხილებენ, რომ ძალადობა არ უნდა დამალონ და მასზე ღიად ისაუბრონ, რათა საზოგადოებრივი მხარდაჭერა მოიპოვონ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებულ ვიდეოში საუბარია იმაზე, რომ ნებისმიერი ძალადობა დანაშაულია, ძალადობის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში დუმილს ამჯობინებს, არადა ამ ფაქტის დამალვის მაგივრად, მომხდართან დაკავშირებით ღიად უნდა ისაუბროს და საზოგადოების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

– სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, იმას, რომ საზოგადოება არ დაგიდგება გვერდში, როდესაც ძალადობენ შენზე, შვილებზე, არ მიაქციო ყურადღება. ყოველთვის არსებობენ ადამიანები, ვინც მოგისმენენ და გვერდში დაგიდგებიან, – ასე მიმართავს ძალადობის მსხვერპლთ მომღერალი ნინო ქათამაძე.

ეკა ირემაშვილი

ასტროპროგნოზი

18 ივლისისათვის

ვერძი – ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. პროფესიონალურთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებიც გექმნებათ. მეგობრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **კურო** – საკმაოდ კეთილისმყოფელი და დასამახსოვრებელი დღეა. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **ტყუპები** – დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და საკუთარ თავს დღესასწაული მოუწყვეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **ლომი** – ენერგეტიკული პოტენციალის შესუსტებას გრძნობთ. თუ მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, მაშინ შესაძლოა დეპრესიამ შემოგიტიოთ. **ქალწული** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **სასწორი** – მშვიდად იყავით. დათრგუნეთ პატივმოყვარეობა და სიამაყე. უფროსი ასაკის ადამიანების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** – პლანეტები გირჩევენ, კრიტიკულად შეაფასოთ თქვენი ურთიერთობა პარტნიორებთან. შესაძლოა მიმნდობლობამ და მიამიტობამ ამ შემთხვევაში ცუდი სამსახური გაგიწიოთ და მომავალში პრობლემები შეგიქმნათ. **მშვილდოსანი** – გიძლიერდებათ ინტერესი მისტიკის, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურისადმი. იყავით ინიციატივიანი და მიზანს უთუოდ მიაღწევთ. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ვერწყული** – იყავით ოპტიმისტი, ოღონდ ზომიერების გრძნობას ნუ დაკარგავთ. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **თევზები** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 2. კუთხე საქართველოში; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 9. შენობის საყრდენი კოლონა ქალის ქანდაკებით; 11. პარიზის ძველი სახელწოდება; 12. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 14. ბრიტანული არაყი; 16. პატარა პროზაული ნაწარმოები; 17. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ქართული რადიო; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 6. კორიდის მთავარი მონაწილე; 7. ფსონების ამკრეფი ტოტალიზატორში; 10. სომხური ცეკვა; 13. ლითონდამამუშავებელ ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 15. მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა; 18. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 20. აჭარული საქორწინო სანახაობითი წარმოდგენა ძველად; 22. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 23. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 24. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი ოლიმპიური ჩემპიონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. მარაკანა; 8. ბაკარა; 9. კრემნიუმი; 11. ონტოფო; 12. ბარონი; 14. ნამუსი; 15. პრეტორია; 20. კარაქი; 22. ტაიფუნი; 23. ვალი; 24. პარიტეტი; 25. ბელი; 26. ნისანი; 27. ცირკი.

შვეულად: 1. პატრი; 2. ანტენა; 4. კოკაინი; 5. ალიონი; 6. ბალაგანი; 7. სიმფონია; 10. პრესი; 12. ბამბუკი; 13. მერქანი; 16. ბისტრო; 17. სფინქსი; 18. პირატი; 19. პაკეტი; 21. რკალი.

სკანვორდის პასუხები:

1. ნიკე; 2. თორნიკე; 3. თითა; 4. თალია; 5. კოჰორტა; 6. ჰაე; 7. ნოე; 8. კიი; 9. სალაკა; 10. ალასკა; 11. კაპელდინერი; 12. რაულ; 13. ანუი; 14. აბა; 15. ერისიონი; 16. და; 17. არაუკარია; 18. ატავიზმი; 19. ნილოსი; 20. „აიდა“; 21. ემუ; 22. ისარნა; 23. ბომბი; 24. ამიაკი; 25. ოლოლო; 26. ინგა; 27. სტილი; 28. ადა; 29. ბიგამია; 30. სნობი; 31. ალტი; 32. ომი; 33. ირისი; 34. ლეი; 35. მერინოსი. **სურათებზე:** ეშლი ტისდეილი; ლუსიო.

გრიგორი ლეპსი კონცერტს ბლექ სი არენაზე გამართავს

ქართული წარმოშობის რუსი მომღერალი და კომპოზიტორი გრიგორი ლეპსი საქართველოს აგვისტოში ესტუმრება და ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს.

22 აგვისტოს მსმენელის წინაშე ახალი პროგრამით წარდგება მომღერალი, რომელიც მსოფლიოს მუსიკალური დაჯილდოების ლაურეატი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერალი და მუსიკალური ჩარტების ლიდერია.

გრიგორი ლეპსი საქართველოს პირველად არ სტუმრობს. მან კონცერტი პირველად თბილისში, სპორტის სასახლეში ჩაატარა. მუსიკოსი აგვისტოში დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობას თავის ბენდთან ერთად მიიღებს და ცოცხალი შესრულებით წარმოადგენს თავის ჰიტებს.

გრიგორი ლეპსის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 70 ლარიდან იწყება და 140 ლარამდე ადის.

თავისუფალი თეატრი დაანგრიეს

– მიმდინარეობს შენობის დემონტაჟი! – ამ განცხადებას 16-წლიანი ისტორიის მქონე თავისუფალი თეატრის მესვეურები ავრცელებენ და დანგრეული თეატრის ფოტოებს ავრცელებენ.

როგორც ცნობილი ხდება, თეატრი სრულად დაინგრევა და მის ადგილას უფრო თანამედროვე, უფრო დიდი და მოდერნიზებული შენობა აშენდება.

– თავისუფალი თეატრი – ადგილი, სადაც ჩვენი და თქვენი „თავისუფალი თეატრის“ ისტორია დაიწერა. მას უკვე ჰყავს თავისი დასი და ამის გარდა, მუდმივად ასაქმებს 50-მდე მსახიობს.

თეატრის სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ და თამაშობენ ქართული თეატრის ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორიცაა გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, მარინე ჯანაშია და სხვა.

„თავისუფალმა თეატრმა“ ამ ხნის მანძილზე ბევრ სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც ნახა, სწორედ „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე დაიბადა და ცხრა წლის მანძილზე ამ თეატრის ნომერ პირველი ვარსკვლავი იყო არაჩვეულებრივი მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური. „თავისუფალის“ სცენაზე ითამაშა თავისი ბოლო როლები შესანიშნავმა მსახიობმა მიშა ჯოჯუამ.

წინ მრავალი გამარჯვებაა! შეხვედრამდე!

ანიტა რაჭველიშვილის პარიზში გამოსვლა კრიტიკის მიზეზი გახდა

საფრანგეთის დედაქალაქში, ეიფელის კოშკთან, ღია ცის ქვეშ ბასტილიის აღების დღე საზეიმო გალაკონცერტით აღინიშნა.

პარიზში გამართულ გალაკონცერტში მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად ქართველი მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილიც მონაწილეობდა. საზეიმო კონცერტს საფრანგეთის ცენტრალური ტელევიზია პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

ამ მოვლენას მეცოსოპრანოს მეგობარი, საოპერო მომღერალი გიორგი ონიანი გამოეხმაურა:

– ღმერთო, რა ბედნიერებაა ამის ნახვა და მოსმენა... იდეალური და ეტალონური შესრულება, საოცარი ნატიფი ბგერა, რომელიც აკვდება პარიზის ხედებს... კიდევ ერთი რამით აღვფრთოვანდი, რაც ალბათ ბევრმა დაინახა.

ორკესტრს ვალერი გერგიევი დირიჟორობდა, რომელიც პუტინის უახლოესი მეგობარია. ამ კონცერტში ანიტას მონაწილეობა ქართველი საზოგადოებისთვის განხილვის საგანი გახდა. ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ ვალერი გერგიევთან ერთად ანიტა სცენაზე არ უნდა დამდგარიყო.

ვალერი გერგიევთან ერთად დაკვრაზე წლების წინ კატეგორიული უარი განაცხადა ხატია ბუნიათიშვილმა. ამ კონცერტზე ხატიაც იყო მიწვეული, მაგრამ პიანისტმა თავისი აზრი არ შეცვალა და ბასტილიის აღების დღისადმი მიძღვნილმა კონცერტმა ხატიას გარეშე ჩაიარა.

ამ დირიჟორთან წლებია აღარ უკრავს კიდევ ერთი ქართველი მუსიკოსი ლიზა ბათიაშვილი. ანიტას გარშემო ატეხილ ვნებათაღელვას კი ლიზამ ვრცელი განცხადებით უპასუხა:

– ძვირფასო მეგობრებო, ჩვეულებრივ ასეთ პოსტებს ვერიდები, მაგრამ ჩემთვის ერთი მნიშვნელოვანი თემა საქართველოშიც „მომწიფდა“. პრესის და საზოგადოების აქტიურ და ნაწილობრივად ულამაზო ჩართვას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უკრავს, ან არ უკრავს ვალერი გერგიევთან, მინდა ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

1. პირადად მე გერგიევთან აღარ ვუკრავ. 2014 წელს, როტერდამში ჩვენ ერთადერთ საეთერო კონცერტზე, ბისის სახით პროტესტი გამოვუცხადე და ბევრი ქვეყნის პრესაში არაერთხელ ნეგატიურად ვახსენე. ამ კონცერტის შემდეგ არც ერთ მის შემოთავაზებაზე არ დავთანხმებულვარ.

2. რაც შეეხება პარიზის კონცერტს, ანიტა რაჭველიშვილის ძალიან კარგად მესმის, როცა ასეთ სასიამოვნო და მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ამ ქართველ გენიალურ მომღერალს თავისი წვლილის შეტანა სურს. საფრანგეთი არა მარტო რუსებს უყვართ! ანიტა რომ ერთ-ერთი ყველაზე გადადებული თანამედროვე პატრიოტი არის, ეს მთელმა საქართველომ იცის და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მისთვის ადვილი არ იყო. მე პირადად გამიხარდა, რომ სცენაზე მხოლოდ გერგიევი „ენდ ფრენდს“ არ იყვნენ, არამედ ანიტაც და სხვა ძვირფასი ევროპელი კოლეგა.

3. დასანანია ის, და ამაზე მართლა გული მტკივა, რომ კონცერტის ორგანიზატორები გერგიევს სწორედ ასეთ ღონისძიებაზე პატიჟებენ, სადაც მისი ადგილი არანაირ შემთხვევაში არ არის. რაც მან იმ საღამოს იდირიჟორა, ამას ყველა დამწყები ფრანგი დირიჟორიც გაართმევდა თავს. აღარ ვლაპარაკობ სხვა ათეულ სახელგანთქმულ ნიჭიერ და სიმპათიურ მაესტროებზე.

4. სამწუხაროდ, გერგიევის „მოციქულებს“ ძალიან ბევრს ვხდებით ევროპის მუსიკალურ ელიტაში. პრინციპში არც ვერბიეს ფესტივალზე აღარ უნდა იაროს ღირსეულმა მუსიკოსმა, სადაც გერგიევის დახმარებით პუტინის მეგობარი, რუსი ოლიგარქი, ფესტივალის მთავარი სპონსორი გახდა. არც მიუნხენის ფილარმონიის ორკესტრთან არ უნდა ვურთიერთობდეთ, სადაც ორკესტრმა ყირიმის ანექსიის პერიოდში ბევრი საპროტესტო აქციის დამოუკიდებლად, გერგიევი სამხატვრო დირიჟორად დანიშნა და ყველაზე მაღალანაზღაურებადი მრავალწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. კიდევ ბევრს არ ჩამოვთვლი.

5. ალბათ, სანამ ევროპელები თავის კანზე რუსეთის აგრესიას არ გამოცდიან, ვერ გაიგებენ, რომ ჩვენ, ხელოვნების წარმომადგენლები, პირველ რიგში, ადამიანები ვართ, ზოგი სინდისიანი და ზოგი უსინდისო. დასავლეთის კულტურის, თავისუფლების, კომფორტის, ცივილიზაციის და დემოკრატიული წყობის გამოყენება იმისთვის, რომ მერე მხარი დაუჭირო შენ დიქტატორ, ანტიევროპელ ოკუპანტ პრეზიდენტს და მის აგრესიებს, ძალიან დიდი უსინდისობაა... ვიცოდეთ... არ გავჩუმდეთ და გავითვალისწინოთ.

დაბრუნდება თუ არა სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“

ქართული სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ გასული წლის ბოლოს დასრულდა და ათასობით ერთგული მაყურებლის განაწყენებაც გამოიწვია.

როგორც მაშინ „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განმარტა, სერიალი არასაკმარისი ფინანსების გამო გაჩერდა. ეს ინფორმაცია დაადასტურა სერიალის პროდიუსერმა ირაკლი საღინაძემაც, სერიალის შეჩერების მიზეზი რუსთავი 2-ისთვის დადებული ყადაღა და ქვეყანაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა იყო.

სცენარისტმა და პროდიუსერმა ირაკლი საღინაძემ გააჟღერა ინფორმაცია, რომ „ხელოვნურმა სუნთქვამ“ სპონსორი იპოვა და სერიალის გმირები მაყურებელს უახლოეს მომავალში დაუბრუნდებიან.

– ჯერ ხელშეკრულებაზე ხელი არ არის მოწერილი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ სამშენებლო კომპანია სვეტმა გადაწყვიტა დააფინანსოს ხელოვნური სუნთქვის შემდეგი სეზონი, შესაბამისად ვიწყებთ სერიალის წარმოებას. სავარაუდოდ, მარტის ბოლოსკენ ან მარტის შუა რიცხვებში გავალთ ეთერში, – განუცხადა ირაკლი საღინაძემ ჟურნალისტებს.

სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“, „ჩემი ცოლის დაქალების“ მსგავსად, ფორმულა კრეატივის პროექტია. ის პირველად „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ ზაფხულს გავიდა და მალევე გაიჩინა ერთგულ მაყურებელთა მთელი არმია. სერიალის შემქმნელებმა მხოლოდ 2 სეზონი წარმოადგინეს და მაყურებელს გაურკვეველი დროით დაემშვიდობნენ.

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერიალი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ბრუნდება. თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ვასილ მაღლაფერიძე აცხადებს, რომ მან ეს ინფორმაცია ჟურნალისტებისგან შეიტყო და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სერიალის გაშვება არ იგეგმება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

1953 წლის მარტყოფის საშუალო სკოლადამთავრებულები ვენერა არჯევანიძე, ლეო სალთხუციშვილი, გუგულა მჭედლიშვილი, ციალა იაშვილი, ლეილა გაბათაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი თანაკლასელი

ელიკო ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის, ჭეშმარიტი პატრიოტის, აფხაზეთში საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილის, ომის ვეტერანის, განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკის, სოხუმის სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორის

შალვა გოგიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

სამშაბათი 18 ივლისი

07.00 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმპატებისკენ**" **10.10, 02.40** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩინეთი ვეტერინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 03.40** მხ/ფ "**ლედი პამილტონი**" (ლ.ოლივიე) **15.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი სიდის საიდუმლო**" **20.30** "სპორტის დაფა" **21.00 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. "**სამტრედია**" - აზერბაიჯანის "**ყარაბახი**" (პირდაპირი დინამო არენადან) **23.00** მხ/ფ "**მკურნალი ადამსი**" (რ.უილიამსი) **00.50** მხ/ფ "**ქალთა ხვედრი**" (უ.დეფო) **05.10** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა"

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **9** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება 20.55** სერ. "**ძმა**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**გახსოვდეს**" **01.30** მხ/ფ "**ეჭვიანობა**" **03.30** მხ/ფ "**რეგრესია**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" **06.45, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**შფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.00** კურიერი **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

09.00 სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მოტივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შაპი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30, 01.00, 03.55, 06.30** მხ/ფ

08.00 ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.25** სერ. "**მეომრები**" სპარტაკი II ნაწ. **11.50** ავტომანი **12.05** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.10** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.25** სერ. "**ფოილის ომი**" **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.10** პრიორიტეტი **21.30** კრაზანა **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**რობოსაპიენსი**"

06.10 სპექტაკლი "**შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი**" **17.40** დ/ფ "ველური ბუნება-ნიანგებზე ნადირობა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.35** პატერიკი-ათასისთავის შესახებ, რომელიც მონყალებამ იხსნა საპყრობილედან **10.40** დ/ფ "პლანეტა დედამიწა-მთები" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ჟოლგა**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "დაღესტნური ჭედურობა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ჯვრის მონასტერი **9** იანვარი **2000** წელი-იერუსალიმი" **15.45** კონცერტი "გუსტავ მალერი, მორის რაველი" **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ტიხრული მინანქარი, XV ს-დან დაკარგული მინანქრის ტექნოლოგია" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** ჩვენი ფონდი "ლორე-ტაშირის ქართული ტაძრები" **20.00** ღია აუდიტორია "იულონ გაგოშიძე" II **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **21.55** საეკლესიო კალენდარი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა" **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4015
- ევრო — 2.7411
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1145
- 100 რუსული რუბლი — 4.0304

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
ოცდაათი წლის ქალი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

მილანი რენატო სანჩესის შეძენას აპირებს

მილანი ზაფხულში სერიოზულად გაძლიერდა და რამდენი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეონარდო ბონუჩის მილანში გადასვლა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

მილანის მორიგი სამიზნე ბაიერნის ახალგაზრდა პორტუგალიელი ფეხბურთელი რენატო სანჩესია, რომელმაც შარშანდელი სეზონი ჩააგდო. მილანის ინტერესი ბაიერნშიც დაადასტურეს, თუმცა მიუნხენელები სანჩესის გაყიდვას არ აპირებენ, რადგან მილანის მიერ შეთავაზებული ფული ეცოტავებათ.

სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ სავარაუდოდ ბაიერნი სანჩესს იაფად არ დათმობს.

ბარსელონა არდა ტურანს ვერ ყიდის



ბარსელონას სურს, რომ თურქი ნახევარმცველი არდა ტურანი გაყიდოს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთებას ვერ ახერხებს. ტურანმა უარი თქვა ლონდონის არსენალზე, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ეს გუნდი მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს. ბარსელონამ მილანის ინტერსაც შესთავაზა ტურანის ყიდვა და ჯერჯერობით იტალიელები ფიქრობენ, დათანხმდნენ თუ არა ამ წინადადებას.

არდა ტურანმა ბარსელონაში ორი სეზონი გაატარა და ხშირად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ გუნდის ლიდერად ვერ ჩამოყალიბდა. ბარსელონაში გადასვლამდე არდა მადრიდის ატლეტიკოს ღირსებას იცავდა.

ალექსის სანჩესს ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს

არსენალის ფორვარდმა ალექსის სანჩესმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ სავარაუდოდ ის არსენალს დატოვებს, რადგან მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში სურს თამაში. არსენალი მომავალ სეზონში ევროპის ლიგაზე იასპარეზებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სანჩესს გუნდიდან წასვლა სურს.

დიდი ალბათობაა იმის, რომ სანჩესი ინგლისის რომელიმე სხვა კლუბში გადავიდეს, მაგალითად, მანჩესტერ სიტიში, თუმცა ალექსისის მომავალი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ივლისის ბოლოსთვის სავარაუდოდ ცნობილი იქნება სანჩესის მომავალი კლუბი, მანამდე კი მის გულშემატკივრებს ლოდინი მოუწევთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქუჩაში ახლადგამოსული მამაკაცი ბავშვს ეკითხება:

– დიდი ხანია წვიმს?

– არ ვიცი, ჯერ მხოლოდ ექვსი წლის ვარ...

•••

კაცს ფრინველების ბაზარში თუთიყუში მოეწონა და გამყიდველს ეკითხება:

– რა ღირს?

– ათასი ლარი.

– რა ამბავია!

– ძალიან ჭკვიანია, ბევრი რამე იცის და ყველაფერს ადვილად სწავლობს.

კაცმა იყიდა, სახლში მიიყვანა, გალია დადგა და ელოდება, როდის დაილაპარაკებს თუთიყუში. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი. ბოლოს ლოდინი მობეზრდა და ეუბნება:

– მიდი, დაილაპარაკე, კარგი მარჩელო, კარგი მარჩელო.

თუთიყუში ხმას არ იღებს.

ასე გრძელდება რამდენიმე დღე. ბოლოს კაცი გალიასთან მივიდა და თუთიყუშს უყვირის:

– კარგი მარჩელო, კარგი მარჩელო.

– აბა ერთი მითხარი, რა არის ინდუქცია და დედუქცია? – მოულოდნელად ეკითხება თუთიყუში.

თვალებგაფართოებული კაცი ეკითხება:

– აი, ეს მესმის! რატომ არ იღებდი ხმას??? ისე კი, მაგ სიტყვების მნიშვნელობა არ ვიცი.

– ჰოდა, ასეთ უვიცს რაზე უნდა გელაპარაკო?

•••

კაცმა ოქროს თევზი დაიჭირა. ტრადიციულად, თევზმა სთხოვა:

– გამიშვი და სამ სურვილს შეგისრულებ.

– კარგი, მინდა, რომ ფული ულევად მქონდეს, ასევე საჭმელ-სასმელიც არ მელეოდეს და კიდევ მინდა, რომ მე და ჩემი ცოლი ორგაზმს ერთდროულად განვიცდიდეთ.

– ყველაფერი ისე იქნება, როგორც ისურვე, – უთხრა ოქროს თევზმა და კაცმა გაუშვა.

ერთი თვის შემდეგ კაცმა მდინარესთან მიირბინა და ოქროს თევზს უხმო. თევზი მოცურდა და ეკითხება:

– ახლა რაღას ითხოვ?

– ჩემი ბოლო თხოვნა გამიუქმე.

– რატომ?

– საკმარისია, მეგობრებთან ერთად რესტორანში საქეიფოდ დავჯდე, რომ მაშინვე ორგაზმს განვიცდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ჯიბრილ სისემ კარიერა განაახლა

ფრანგმა ფორვარდმა ჯიბრილ სისემ 36 წლის ასაკში კარიერა განაახლა.

სისემ საფეხბურთო კარიერა ზუსტად ორი წლის წინ დაასრულა, მაგრამ ფეხბურთის გარეშე ცხოვრება გაუჭირდა და დაბრუნება გადაწყვიტა.

ფრანგმა თავდამსხმელმა კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიულ გუნდ ივერდონთან, რომელიც რანგით მესამე დივიზიონში გამოდის. აღსანიშნავია, რომ სისემ პირველივე ჩატარებულ შეხვედრაში 3 გოლის გატანა შეძლო, მისმა გუნდმა კი 4:0 მოიგო.

სისეს თავის დროზე ისეთ გუნდებში აქვს ნათამაშები, როგორებიც ლივერპული და ლაციო არიან.

ფრანჩესკო ტოტი იაპონიაში არ ითამაშებს

ფრანჩესკო ტოტიმ გადაწყვეტილება მიიღო და ის იაპონიაში არ ითამაშებს. ტოტის ერთ-ერთი იაპონური კლუბი აქტიურად სთავაზობდა კონტრაქტს, მაგრამ ტოტიმ განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა და გადაწყვეტილებას აღარ შეცვლის.

ფრანჩესკო, სავარაუდოდ, რომაში დარჩება და ტექნიკური დირექტორის პოსტზე დაიწყებს მუშაობას, თუმცა ამ თემაზე ფრანჩესკოს ჯერჯერობით არ უსაუბრია.

ტოტიმ კარიერა მაისში დაასრულა, როდესაც ის რომას სტადიონზე გულშემატკივარს დაემშვიდობა და მათ სიტყვითაც მიმართა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი 2



შვეულად: 1. ქართული სპორტული რადიო; 2. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 3. მუზეუმი ბერლინში; 4. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 5. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 8. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 13. იორდანის დედაქალაქი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

თარაზულად: 1. ქართული კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 7. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 10. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 11. მოქანდაკის ხის საჭრისი; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. მწვერვალი კავკასიონზე; 17. მდინარე პალესტინაში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა